ოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 25 სექტემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ხით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).
ტელეფონი 16—62.

№ 204 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 204

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი: დედა და ძმები: ჯამულეთი, ირაკლი, ნიკო, ხალამპრე და იაკინთე, ძმის წულები: ოლია და იაკოფ ჩიტაიშვილები. აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 25 სექტემბერს ოთხშაბათს 12 საათზე წითელი მთის წმინდა გიორგის ეკლესიაში (გურია) გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის დაუვიწყარი შვილის და დის

რისიმე ლევანტის ასული ჩიტაიშვილის

სულის მოსახსენებლად (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ეკე და ელისო, შვილები: საშა, თამარა და შატუ მელიმონაძეები, აუწყებენ ნათესავ ნაცნობ მეგობრებს უდროვოთ ძვირფასი შვილის

მარიამის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება 26 სექტემბერს ს. ხიდის თავში ახალშენის ეკლესიაზედ.

თავზარ დაცემულნი: ქალები ნინა მირკევიჩისა, ბარბარე ჩარკვიანისა, და ვაჟი გრიშა ტატეს ძე იორდანოვი, სიძეები პავლე მირკევიჩი, კონსტანტინე ჩარკვიანი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ ძვირფასი დედის

ეკატერინე იორდანოვის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 26 ენკენისთვეს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 10 საათზე. ნიკოლოზის ქუჩა, № 104. (2—1)

ლატარიის დღეები

ტარიის დღეების მომწყობი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ 28 და 29 სექტემბერს თფილისში დანიშნულია ლატარიის ბილეთების **საჯარო გაყიდვა** და მოუწოდებს ყველას, ვისაც უყვარს უნივერსიტეტი და თეატრი,—ეს ორი დედაბოძი ერის კულტუროსნობისა—გამოიღოს თავისი წილი და იყიდოს ბილეთი. ყოველი მყიდველი გარდა იმისა, რომ აღასრულებს მოვალეობას ერის წინაშე, შეიძენს საშუალებას ასი ათასი მანეთის მოგებისას. სულ იგებს 2393 ბილეთი და დარიგებული იქნება ნახევარი მილიონი მანეთი.

კომისიის თავმჯდომარე მ. რამიშვილისა.
გამგე—დირექტორი სოლ. ახვლედიანი.

გერმანელები ჩვენში

ამ თვეზე მეტია რაც საქართველო ოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხად- სამი თვეა, რაც იგი გერმანიის მო- შირეთ იქცა. ამ კავშირს ორი მთავა მიზანი ქონდა: ერთი ოსმალეთის ონობისაგან გადარჩენა ქართველი ის და საქართველოს ტერიტორიის, რე დაახლოვება ევროპასთან, გაც- ბა ევროპის კულტურის, შეთვისება სარგებლობა მისი ტეხნიკური და ლტურული საშვალებებით.

პირველს ჩვენ, ეჭვი არაა, მივაღწიეთ. ზე მომდგარი უბედურება—ოსმალე- ს ჯარების სახით, თავიდან ავიშო- თ. გერმანიის მეგობრობამ ამ მხრივ უფასებელი სამსახური გაგვიწია.

გერმანიის მისიამ პირნათლად შეას- ლა თავის დაპირებანი: არა თუ ოს- ეთი ჩამოგვაშორა, ჩვენი დამოუკი- ბლობის ცნობაშიაც ხელი შეგვიწყო დღეს ეს უკვე ფაქტია. რუსეთის ბჭოთა მთავრობამ უკვე აღიარა საქარ- ლო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. ს შემდეგ ჩვენი დამოუკიდებლობის ება ევროპის სახელმწიფოებისთვისაც დვილებულია, რადგან იგი ომის მი- ზით და მეზობელ სახელმწიფოს საწ- აქტათ აღარ ჩაითვლება.

ეკაფება გზა და იწმინდება ატ- სფერა საქართველოს მომავალი სახელ ფოებრივობისთვის და ჩვენ უნდა ული იმედი ვიქონიოთ, რომ მალე ნი სახელმწიფო მკვიდრ ნიადაგზე დგება და შინაც ისე გამაგრდება, მ მის არსებობას არსაიდან საფრთხის ში აღარ ქონდეს.

მეორე მიზანი კი—ევროპასთან დაახ- ვება, ჯერ კიდევ მიუღწეველია. მარ- ლია რამდენიმე ახალგაზრდა ევროპაში მგზავრა, გზა გერმანიისკენ გაგვეხსნა, რამ ეს გზა ხსნილია მხოლოდ რჩე- თათვის, ამით შეუძლია ფაქტიურათ რგებლოს მხოლოდ სულ მცირე ნა- ლმა, ინტელიგენტური წრეებიდან. რთო მასსა ხალხისა ევროპას გაეც- ბა იმ ელემენტების საშუალებით, რო- ლნიც აქ არიან ევროპიდან ჩამოსული მანელებისაგან. რუსების შესახებ ჩვენ ხს არ შეიძლება ითქვას, რომ მას- კარგი შეხედულება ქონდეთ შემუ- შავებული. რუსი ლოთი, რუსის „ბაბა“—ლოთი და უზნეოა, ჩინოვნიკი უხეში და მექრთამე, ასეთ ელემენტებთან ქონდა დამოკიდებულება ჩვენ ხალხის მასსას და ასე ახასიათებდა იგი ყველა რუსს. ძლიერი ქვეყანა იყო რუსეთი, ოსმალეთისაგან დამფარველი და მხოლოდ ამიტომ ურიგდებოდა ამ თვალსაჩინო ნაკლს—შევიწროვებას, უდიერ მოქცევას.

თვითონ ხალხსაც არ ქონდა აქამდე დიდათ განვითარებული მოქალაქობრივი გრძნობა და ფართე მოთხოვნილებები. ამიტომ იგი რუსეთის მაინც ლოიალური ქვეშევრდომი იყო.

დღევანდელი ქართველისათვის ასე მცირე თვისებები უკვე საკმაოთ მიმზიდველი ვერ იქნება. იგი თვით ამაღლდა და გარეშეთაც უფრო კულტურული თვალით უცქერის. რუსეთის ერთი წაფორხილება საკმარისი შეიქნა, რომ საქართველოს თავის ბედი თვით აეღო ხელში და მეგობრები ეძებნა იქ, საიდანაც იგი მეტ კულტურულ ნაყოფს და ამაღლებულ ცხოვრებას გამოელის.

ასე უყურებს ხალხი დღეს გერმანიას. ჩვენ ამას ვერ დავმალავთ. მათგან ელის მეტს, ვინემ რუსეთისაგან: პოლიტიკურ მონობის მაგიერ—თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, ჩინოვნიკების ნაცვლათ კულტურულ ურთიერთობას, მრეწველობა-ვაჭრობის აყვავება განვითარებას.

გერმანიას ჩვენი ხალხი ნაკლებათ იცნობს. მას გერმანელზე მხოლოდ გაუგონია, ან კოლონისტების სახით თუ აქვს იგი წარმოდგენილი.

დღეს კი მეტის ყურადღებით და დაკვირვებით ეპყრობა იმას, რასაც გერმანიის პირველი მოფრენილი მერცხლები ჩაიდენენ და მოიმოქმედებენ.

ქართველი დემოკრატია, მასსა, დიდი ნდობის მქონეა. იგი სიტყვას უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავს და ამასვე მოელის ის მოკავშირისაგან. არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ, რომ ამ მხრივ ჩვენს მოკავშირეთა ზოგიერთ ელემენტების მოქმედებაში, ყველაფერი რიგზე იყოს. პირიქით. ბევრი რამ პირველ შთაბეჭდილებას მეტად ცუდს სტოვებს.

გერმანიისაგან მოელოდა ხალხი უკრაინის პურს, შავ ზღვაზე მიმოსვლის გახსნას, ეკონ. შეღავათს, რომელიც დღევანდელ კარჩაკეტილობიდან გამოგვიყვანდა. მაგრამ ახლა ამის იმედები აღარავის აქვს, და საამისო დაპირებები არა ოფიციალურ ინტერვიუებში წარმოთქმული დღეს გულნაკლულად ხდის მასსას.

ამის ნაცვლად გერმანია თვით ყიდულობს აქ პურს, ე. ი. იმ სურსათს ხარჯავს, ამცირებს, რომელიც თავისთავად ადგილობრივ მცხოვრებთა გამოსაკვებათაც არ კმარა. ეს იწვევს სპეკულიაციების თავგასულობას და სიხარულს, ხოლო ხალხს, მშრომელ ნაწილს უიმედობის მორევში აცურებს.

გერმანიის ჯარის მოქმედებაშიც არის ისეთი რამ, რაც არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მეგობრობის განმტკიცებელი.

ჩვენს რედაქციას აუარებელი კორესპონდენციები მოსდის სხვადასხვა კუთხიდან, განსაკუთრებით იმ მხარეებიდან, სადაც გერმანელთა კოლონიები იყო, და ყველანი ერთხმად უჩივიან იმ გერმანელ ჯარის უდიერ მოპყრობას, რომელნიც კოლონისტთა სოფლებში არიან დაბანაკებული.

აქ რასაკვირველია ის კი არ არის გასაკვირი, რომ გერმანელები იცავენ კოლონისტებს. ხალხის უკმაყოფილებას ბადებს ის გარემოება, რომ ხშირად ეს ჯარი ერევა ცალმხრივათ ნემეც ხოლონისტთა და მეზობელ სოფლების ურთიერთობაში, თავის ძალით ასამართლებს ამათ, არბევს ქართველ, სომხურ, ან თათრულ სოფლებს კოლონისტების სასარგებლოთ, თვით ასამართლებს და აძლევინებს მათ ჯარიმას. არა ერთხელ ყოფილა მაგალითი, რომ კომისარის ჩარევასაც კი ვერ გადაურჩენია საქართველოს მოქალაქე გლეხკაცობა ფიზიკურ შეურაცყოფისაგან.

გერმანელებმა არ შეიძლება არ იცოდენ, რომ საქართველო ოსმალეთი არაა, რომ ქართველი მოქალაქე ფიზიკურ სასჯელს ვერ შეეგუება. თვით რუსის კანონსაც კი, რომელიც სოფლელთ შიდა რუსეთში როზგავდა, ჩვენში ეს სასჯელი არ გადმოუტანია. მხოლოდ რუსეთის დამსჯელ ექსპედიციებისაგან თუ ახსოვს ჩვენ ხალხს გამათრახება. და ეხლაც ამიტომ ანალოგიური გრძნობები იღვიძებს მასში.

ქართველი გლეხი, უსწავლელი გლეხიც კი ასეთ „როზგების“ ხმარებას, ფიზიკურ შეურაცხყოფას რუსეთის უკულტურობას აწერდა, მის ველურობის ნიშანდობლივ თვისებათ თვლიდა—და რასაკვირველია, თუ ევროპიდანაც ასეთი საშუალებებით თვითგასამართლების ნიმუში იხილა, რით უნდა გაარჩიოს პირველი მეორისაგან? რაში უნდა დაინახოს კულტურული უპირატესობა ევროპიელ მეგობრებისა—ნახევრად აზიურ რუსეთის მოხელეთაგან?

ჩვენ აღვნიშნავთ ამას არა იმისთვის, რომ გერმანელების კულტუროსნობა არ გვწამდეს, არამედ სწორეთ იმისთვის, რომ ამ კულტუროსნობის ზოგიერთ დამამცირებელ მოვლენებზე მივუთითოთ და ის ელემენტები, რომელნიც ასეთ საქციელს იდენენ, და რომელნიც ჩვენი ღრმა რწმენით გამონაკლისს შეადგენენ, ამიერიდან გახდენ განსაკუთრებულ ყურადღების საგნათ თვით გერმანიის წარმომადგენელთათვის.

ჩვენ არ ვეხებით აქ იმას, რომ ასეთი მოვლენა, როგორც მაგალითათ გერმანელი ჯარის ჩადგომა ანანოვის მამულში, გინდა დაჯარიმება გლეხების და სხვა — წარმოადგენს ხელშეკრულობის დარღვევას, რომ პოლიტიკურათ იგი შინაურ საქმეებში ჩარევაა. გერმანელებს, როგორც ვიცით ხელშეკრულობით აქვთ აღებული მოვალეობა საქართველოს საზღვრების დაცვაში დახმარების აღმოჩენა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობა. იმ საშინელი, გამწვავებული აგიტაციის წყალობით, რომელსაც წინანდელი ჩვენი ბატონების წარმომადგენლნი აწარმოებენ დღეს, ხალხი მეტათ მგრძნობიარე შეიქნა ამ საკითხში. მას ყოველი ასეთი მოვლენა ახალი მონობის მოსვლად ეჩვენება და ნერვიულობს.

ჩვენ არა გვგონია, გერმანელები დაინტერესებული იყონ იმაში, რომ ჩვენ შორის კეთილ განწყობილებას შავმა ღრუბელმა გადაუაროს. პირიქით, ის ეკონომიური სარგებლობა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრით, რომელიც ეჭვი არაა ამოქმედებს გერმანიას ჩვენთან დაახლოვებაში, ჩვენ ღრმად გვწამს, უნდა უკარნახებს მას დადებულ პირობის პირმტკიცედ დაცვას. და ჩვენც სწორეთ იმიტომ აღვნიშნეთ ზოგიერთი უარყოფითი მხარეები, დღევანდელი სინამდვილისა, რომ ამ მეგობრობის განმტკიცებისათვის მასსის გულში ხელის შემშლელი პირობები აგვეცილებია. მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო, ამბობს ქართული ანდაზა.

[illegible] არ უნდა გერმანიის შემოსვლით მოტანილ დადებით შედეგებს ოდნავადაც ვერ შეასუსტებს ზემოთ ჩამოთვლილ უარყოფითი მოქმედებანი ზოგიერთი ელემენტებისა, მაგრამ ხალხის გულში ხშირათ ამა თუ იმ საქციელს მეტი გავლენა აქვს, ვინემ დიდ ისტორიულ პოლიტიკურ მოვლენას. და შეცდომა იქნებოდა ჩვენის მხრივ მათი უყურადღებოთ დატოვება.

შრომის დაცემა

არც ერთი საზოგადოებრივი კლასი არ იმყოფება დღეს ისეთ აუტანელ მდგომარეობაში, რომელშიაც პროლეტარიატია ჩავარდნილი. მართალია მან მოიპოვა სრული პოლიტიკური თავისუფლება, განახორციელა საერთაშორისო პროლეტარიატის ერთი მთავარი მოთხოვნილებათაგანი—რვა საათის სამუშაო დღე, მაგრამ იმდენათ მცირეა სამუშაო ქირა, რომელსაც მუშა იღებს, რომ ის ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მის ადამიანურ მოთხოვნილებებს.

პროლეტარიატი გადაშენების გზაზეა დამდგარი არა თუ მისი კულტურული, თვით ფიზიკური არსებობაც საფრთხეშია ჩავარდნილი.

რითი შეიძლება მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა? საუკეთესო გზა ამისთვის წარმოების განვითარებაა. მაგრამ ეს ძნელი საქმეა. დღეს დღეობით ჩვენი მთავრობა ხაზინას სიღარიბის გამო მოკლებულია სახსარს წარმოების ახალი დარგები შემოიღოს.

თითონ მუშები საუბედუროდ, ერთობ პრიმიტიულათ სწყვეტენ ამ საკითხს: ისინი საკმაოთ თვლიან გაფიცვები გამოაცხადონ და ხელფასის მომატება მოითხოვონ. ამ მხრით ისინი ისე შორს მიდიან, რომ რესპუბლიკის ინტერესებსაც არ უწევენ ანგარიშს, რასაც მოწმობს ტყიბულის მუშების ორჯერ ზედიზედ მოწყობილი გაფიცვა და ბორჯომის მუშების მუქარა, რაც მოწინავე პირების და შრომის სამინისტროს მეცადინეობით ჯერჯერობით სისრულეში არ მოუყვანიათ.

ამავე დროს ყურადღების ღირსია ერთი მოვლენა: შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინო დაცემა.

შექმნილ არა-ნორმალურ პირობებში ბუნებრივი იქნებოდა შრომის დაქვეითება წარმოების ზოგიერთ დარგში. სინამდვილეში კი ჩვენ ვხედავთ, რომ შრომა ყველგან არარაობამდეა ჩამოყვანილი. მუშების ერთი ნაწილი სრულებით არ ეწევა არავითარ შრომას. ბევრგან აქვს ადგილი მრავალგვარ ბოროტებას.

ასეთს პირობებში წარმოება არავითარ მოსაგებს არ მისცემს პატრონს და ისიც იძულებული იქნება ქარხნის კარები გამოკეტოს. არა თუ კერძო მწარმოებლები—კაპიტალისტები, თვით მთავრობაც იძულებული გახდება გააუქმოს ბევრი დაწესებულება, რომელიც დღეს მის ხელშია და მუშა მოსამსახურეების ცულლუტობის გამო ხაზინას ზარალს აძლევს.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მუშების ერთი ნაწილი კმაყოფილი არ არის თავის არამზადა ამხანაგების ყოფა ქცევით და იმათში დღეს მკაფიოთ გაისმის ხმა ნაჭრობით მუშაობის შემოღების სასარგებლოთ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს ზომა საქმეს ვერ უშველის: თქვენ შემოიღებთ ნაჭრობით მუშაობას, მაგრამ ამის საპასუხოთ თქვენ მიიღებთ გადამეტებულ ფასებს, რაც ისევ ძველ მდგომარეობაში დასტოვებს საქმეს. ჩვენ გვგონია, რომ უფრო გადაჭრილ ზომების მიღებაა საჭირო: ასეთ ზომათ კი ჩვენ მიგვაჩნია ორი რამ—პროფესიონალურ კავშირების აღორძინება და ქარხნის ადმინისტრაციის გაძლიერება.

კავშირებზე არას ვიტყვით, რადგან მათი მნიშვნელობა მოწინავე მუშებმა კარგათ იციან. მეორე კითხვამ კი, შესაძლოა, დავა გამოიწვიოს: ეს არის საკითხი მუშების დათხოვის უფლებისა: მანამ, სანამ კავშირი კოლექტიურათ ვერ უზრუნველყოფს მუშების მხრით ნაკისრ მოვალეობის პირნათლათ შესრულებას, წარმოების ადმინისტრაციას უფლება უნდა ქონდეს უვარგისი მუშები დაითხოვოს და არავითარი ჯილდო არ მისცეს. სადაც არ მოქმედობს სინდისი და მოვალეობის შეგნების გრძნობა, იქ შეიძლება შიშმა გამოიღოს ნაყოფი.

მთავრობამ უნდა შეიმუშაოს შესაფერი კანონი, რომ გათახსირებულ პირებს ლაგამი ამოედოს, ხოლო შეგნებულმა და გათვითცნობიერებულმა მუშებმა ყოველივე ღონე იღონონ, რომ პროლეტარიატის ოჯახი იხსნან მოსალოდნელ განადგურებისაგან.

მდგომარეობა მეტათ სერიოზულია და დიდი მეცადინეობაა საჭირო საქმის მოსაგვარებლათ.

დაშნაკცუტიუნის მოლოცვა

მემარცხენედ წოდებულ დაშნაკელთა „აზხატავორმა“ წერილი უძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელიც ამ დღეებში იცნო გერმანია რუსეთმა.

ქართველ ხალხს ეს გაზეთი არ ულოცავს ამ ბედნიერებას—მივულოცავთ ქართველ დემოკრატიას დამოუკიდებლობას, როცა ამას მოიპოვებს თვით დემოკრატია სხვა ქვეყნების დემოკრატებთან ერთად ბრძოლითაო და სხ. ახლა კი—ეს დამოუკიდებლობა მოიპოვა დიპლომატიამ და აბა, ეს რა მისალოცავიაო!

ერთი სიტყვით, დაშნაკცუტიუნი თითქოს იბრძვის სოციალიზმისთვის, თითქოს ის განაგრძობს რევოლიუციონურ ბრძოლას!

როდის აქეთაა, რომ ამ გზას დაადგა ეს პარტია? დაშნაკცუტიუნს რამდენიმე ათეული წლების არსებობის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში ეს პარტია აწარმოებდა ნაციონალისტურ, შოვინისტურ პოლიტიკას, ის თიშავდა სომხის დემოკრატიას სხვა ერის დემოკრატიისაგან, ამ პარტიის მთელი მოღვაწეობა გამოიხატებოდა საიდუმლო დიპლომატიის წარმოებაში თვითმპყრობელობის მთავრობასთან შეთანხმებით.

ახლა რა გვესმის მისგან? მაშასადამე, რაც აქეთა ამ პარტიამ ამდენ ხანს, ის შეცდომა ყოფილა? კეთილი, თუ ეს ასეა; მაგრამ ახლაც ხომ საერთაშორისო ბრძოლაზე, სოციალიზმზე ის მხოლოდ სიტყვებს ხარჯავს, საქმით კი ისევ ჩვეულებრივი ნაციონალისტური, შოვინისტური და „მეშჩანური“ პარტიად დარჩება პოლიტიკური ავანტიურიზმით გაჟღენთილი!

თუ რას აკეთებდა ეს პარტია ან რას წარმოადგენს ახლა, ამის რამდენიმეთ გასათვალისწინებლათ საჭიროთ მიგვაჩნია მოვიყვანოთ რუსულ „სოციალ დემოკრატი“-დან (№ 15) ა. აზატიანის წერილიდან, ზოგიერთი ადგილები. წერილი ეხება იმის აღწერას, თუ რა როლი შეასრულა ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში დაშნაკცუტიუნის პარტიამ სომხეთა ცხოვრებაში.

მიუხედავათ იმისა, რომ ასეთი ფაქტები დაშნაკელთა მოღვაწეობიდან ჩვენ არა ერთხელ გვქონია მოყვანილი, მაინც საჭიროთ მიგვაჩნია ხსენებული წერილის ზოგიერთი ადგილების მოყვანა:

„ნახევარი საუკუნის წინად—იწყებს წერილს ა. აზატიანი—ამიერ-კავკასიის სომხეთა შორის გაჩნდა ძლიერი იდეური მოძრაობა ოსმალეთის სომხების გასანთავისუფლებლათ. ეს მოძრაობა წარსული წლის მეოთხმოცდა ათე წლებში ჩამოყალიბდა ორგანიზაციულ პარტიულ მოძრაობათ. საკუთარი ძალების იმედი არ ჰქონდათ სულთანიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, არც შეეძლოთ ოსმალეთის სხვა დაჩაგრულ ერებში დამხმარეები გამოეძებნათ, მომხრეების გამონახვა ვერც თვით ოსმალებში შესძლეს, რომლებიც 1907 წლის რევოლიუციამდე „ინოროდცებზე“ ნაკლებ დატანჯულნი არ იყვნენ.

სომხეთა შორის იმ ხანებში მომუშავე პარტიები ერთად ერთ ხსნას ხედავდენ ამა თუ იმ დიდ სახელმწიფოს დახმარებაში. ამ პარტიების დამოუკიდებელი გამოსვლა კი, როგორც სუსტი პარტიების, გამოიხატებოდა ოსმალთა დესპოტიზმის წარმომადგენელთა კერძო პირთა მოკვლაში. ოსმალეთის, სომხების მდგომარეობა იმდენათ აუტანელი იყო, რომ კავკასიელი სომხები მზათ იყვენ მათთვის ცეცხლის ალში ჩავარდნილიყვენ, ანგარიშსაც კი არ აძლევდენ თავს, თუ რამდენად უწყობდა ხელს მათი შეტაკება ქურთებთან და ოსმალეთის ჯარებთან სომხების განთავისუფლების საქმეს. ოსმალეთის სომხობის მასსას ამ მოძრაობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მის გაბედნიერებას ცდილობდენ ზევიდან და რაც ყველაზე უარესი იყო,—ეს მოძრაობა მოკლებული იყო ყოველგვარ სოციალურ შინაარსს. სომხეთა ნაციონალური პარტიები ოსმალეთის დესპოტიზმის ჩამოგდებას და დემოკრატიული სახელმწიფოს დამყარებას კი არ ცდილობდენ, არამედ—ცდილობდენ სომხების ცალკე გამოყოფას და ისე განთავისუფლებას, მიუხედავათ საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილებისა, რომელშიაც დარჩებოდა ოსმალეთი გარდა სომხეთა ოლქებისა. ამ გარემოებამ ხელი შეუშალა მათ შეერთებოდენ ოსმალეთში მცხოვრებ სხვადასხვა უკმაყოფილო ელემენტებს. ამ გარემოებამვე ეს მოძრაობა ევროპაში დიპლომატთა ხელში სათამაშო საგნათ გახადა და ამ დიპლომატიამ ბოროტად გამოიყენა სომხის ერის ხელმძღვანელთა ნდობა. რამდენათ სასარგებლო და ზოგჯერ დამღუპველი გამოდგა ეს ნდობა სომხის ხალხისთვის, ამის საუკეთესო დამახასიათებელია შემდეგი მოვლენა: სულ რამდენიმე წლის წინად, დაშნაკცუტიუნის პარტიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ექიმმა ზავარიანმა აღუთქვა ოსმალეთში მყოფ რუსეთის ელჩს, რომ მიიღებდა ზომებს, რომ ოსმალეთის საზღვრებში მცხოვრები სომხები არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდენ საზოგადოებრივ მოძრაობაში. მთელი ერის დამონების საფასურად ექიმი ზავარიევი და მისი ამხანაგები ფიქრობდენ დაემსახურებიათ მეფის მთავრობის ყურადღება ოსმალეთის სომხების განთავისუფლების საქმეში. მეფის მთავრობის პატივისცემა ამ ნიადაგზე ისე შორს წავიდა დაშნაკცუტიუნის მხრით, რომ 1905 წლამდე ამიერ-კავკასიაში დაშნაკცუტიუნს რევოლიუციონურ მოძრაობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ყველა იმათ, ვინც კი კლასიურ ბრძოლაზე კრინტს დაძრავდა, დაშნაკცუტიუნი სომხის ხალხის მოღალატეებათ ნათლავდა.

ოსმალეთის სომხეთის განთავისუფლების სამსხვერპლოდ კავკასიელ სომხებს აუარებელი სიმდიდრე მოჰქონდათ როგორც ხალხით, ისე სხვადასხვა ნივთიერი დახმარების სახით. მაგრამ არაფერი არ შეედრება იმ მსხვერპლს, რასაც ნაციონალური პარტიები მოითხოვდენ კავკასიელ სომხებისაგან მათი მოღვაწეობის პოლიტიკურ სფეროში, რაიც გადაჯაჭვული იყო ამ ხალხის სულიერი ცხოვრების მოქმედებასთან. მთელი ორი ათეული წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში დაშნაკცუტიუნი შეადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში. სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, დესპოტიურს. ამიერ-კავკასიაში მცხოვრები სომხობა დაშნაკელთა პარტიის ხელში გადაიქცა საწველ ფურად. ყოველი სომეხი ამ დესპოტიის ერთგულ ქვეშევრდომათ ითვლებოდა. პარტია თავის მონებს ორს, სრულიად უბრალო მოთხოვნილებას უყენებდა—სიტყვის უთქმელად დამორჩილება და წესიერად გადასახადის გადახდა. ასევე უბრალოთ იყო იდეურ მუშაობის საქმეც, რაიც შემდეგში გამოიხატებოდა — ოსმალეთში სომხები იღუპებიან, უნდა დავეხმაროთ რითაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს. დახმარება კი შესაძლებელი იყო ახალ გაზრდა ზინვორებისა და ფულის მიწოდებით. ამგვარ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძლებოდა სომხის დემოკრატიაში პოლიტიკურ მუშაობაზე, მის სულიერ აღზრდაზე. სომხის ხალხს მხოლოდ ელაპარაკებოდენ იმის შესახებ, თუ როგორ იტანჯებოდა ოსმალეთის სომხობა, ამ ხალხს მხოლოდ იმას ასწავლიდენ, რომ ის მჯდარიყო გულზე ხელ-დაკრეფილი და იმედი ჰქონებოდა თავიანთი ბატონებისა, რომ ისინი დაარწმუნებდენ რუსეთის ან ინგლისის დიპლომატიას სომხის ხალხის განთავისუფლებაში, ვინაიდან, მათი თქმით, სომხის ხალხს უნდა გაუვრცელებია დასავლეთის კულტურა

აღმოსავლეთში. მათ ჩააგონეს სომხის ხალხს, რომ სომხის ხალხი ყველაზე უფრო კულტუროსანი ხალხია აღმოსავლეთში, რომ რუსეთი და ინგლისი დიდათ არიან დაინტერესებულნი დასავლეთის კულტურის აღმოსავლეთში გავრცელებაში და სხ. ასეთი დაპირებებით დაშნაკცუტიუნის პარტიამ დიდი ზარალი მოუტანა სომხის დემოკრატიის პოლიტიკური აღზრდის, მისი ორგანიზაციულად შეკავშირების და თვითმოქმედების განვითარების საქმეს. სომეხი ხალხი ამიტომ ერთი ჩამორჩენილი, პოლიტიკურად მოუმზადებელი და საკუთარ საზოგადოებრივ პოლიტ. ცხოვრებას მოკლებული ხალხია რუსეთში მცხოვრებ, ერთა შორის. სომხის ხალხს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია რუსეთის არც პირველ, არც მეორე რევოლიუციაში, რომელშიაც რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ერები იღებდენ მონაწილეობას. წარსულ წელს წამოყენებული დიდებული პრობლემები, რომელიც მოძრაობამ წამოაყენა, ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ სომხებისათვის ცხრა კლიტულში ჩაკეტილი წიგნია.

ერთად ერთი სასიხარულო ამბავი დიდი რევოლიუციის მიერ მიტანილი სომხის ხალხისათვის ეს ის იმედი იყო, რომ ის თავს დააღწევდა ახლო ხანში დაშნაკცუტიუნის ბატონობას. ერევნის გუბერნიაში უკანასკნელად მომხდარი ამბების შემდეგ სრულიად დაჰკარგა დაშნაკცუტიუნმა ყოველგვარი ნდობა სომხის დემოკრატიისა. სომხის დემოკრატიის ტრაგიზმი სწორედ იმაშია, რომ დაშნაკციუტუნის პარტია მასში არავითარ კვალს არ სტოვებს. თუ ახლო ხანში დაშნაკციუტუნი სამოქმედო ასპარეზიდან წავა, მისი ადგილი დაუკავებელი დარჩება. ორი სოციალისტური პარტია და კადეტები ერევნის გუბერნიაში შეადგენენ ინტელიგენციას. ასე რომ, ვიდრე ეს პარტიები ხალხს დაუახლოვდებოდენ, დრო გავა... დაშნაკცუტიუნის პარტიას არა თუ არაფერი არ მიუცია სომხის ხალხის მასსისთვის ორი ათეული წლების განმავლობაში, არამედ—ეს პარტია ერთ გვარი კედელი იყო რუსეთის დემოკრატიასა და სომხის ხალხს შორის აღმართული, ხალხს უწამლავდა ჭკუა გონებას ნაციონალიზმით, ავიწროვებდა მას სულიერ და პოლიტიკურ ჰორიზონტს. თავისი პარტიის წევრებს დაშნაკცუტიუნმა ისიც კი ვერ ასწავლა, რომ საკუთარი საქმეები თითონ ეწარმოებიათ.. დაშნაკცუტიუნის მუშაობის დამღუპველ შედეგებს დიდხანს ვერ დააღწევენ თავს ამიერ-კავკასიის სომხები, მას შემდეგაც კი, როცა ეს პარტია სამოქმედო ასპარეზიდან გაქრება“.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

23 სექტემბერი.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტზე ჩვენი ჯარების გადაჯგუფება ხდება.

სოფია. მაკედონიის ფრონტი. ცრნის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ახალი პოზიციები. დიოვს სამხრეთით მტრის ერთი ბატალიონი გავანადგურეთ. დოირანის ტბის ორივე მხარეს ორივე მხრით სასტიკი საარტილერიო სროლა იყო. საარტილერიო მომზადების შემდეგ ინგლისის და ბერძენთა ორი დივიზიები იერიშით მოვიდენ. აქ მტერმა 250 ათასი ყუმბარა გამოისროლა და ზოგიერთ ალაგას ჩვენი ხაზი გაარღვია. კონტრ-იერიშით ჩვენმა ჯარმა მტერს უკან დაახევინა. დასტოვა მტერმა ბრძოლის ველზე დაჭრილ-დახოცილნი, 500 ტყვე ინგლისელი წამოვიყვანეთ. ამ იერიშთან ერთად იერიში მოიტანა ბერძენთა ერთმა დივიზიამ ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით. კონტრ-იერიშით მტრის იერიში მოვიგერიეთ.

ბერლინი. ვოლფის სააგენტოს ცნობით გენერალ ფელდმარშალ ჰინდენბურგს ბრძანებით მიუმართავს ჯარისთვის. ბრძანებაში ის აღნიშნავს, რომ მართალია ავსტრიამ ჩვენს მტრებს წინადადება მისცა ზავზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს თითქოს საომარი მოქმედება უნდა შეწყდეს. გერმანიის იმპერატორის წინადადებაც ამას წინად ზავის შესახებ ჩვენს მტრებს სასაცილოდ არ ეყოთ. თუ ვინიცობაა, ისინი არც ამ წინადადებას მიიღებენ, უნდა ვიბრძოლოთო და გავიმარჯვებთ კიდეცო.

22 სექტემბერი.

ლონდონი. უკანასკნელ დღეებში ინგლისის რადიო-სადგურმა შემდეგი ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა: ბრიტანიის ჯარებმა დაიკავეს 1918 წლის მარტის თვეში დატოვებული ინგლისელთა სანგრები, წინ დაიწიეს და დაუახლოვდენ ნემეცთა ჯარებს.

— პალესტინიაში ინგლისელთა ჯარების მოქმედების შესახებ გენ. ალლენბის შტაბთან მყოფი კორესპოდენტი შემდეგს იუწყება: გამარჯვება იმაზე უფრო საყურადღებოა, რასაც დღემდე ამტკიცებდა წამოყვანილი ტყვეების რიცხვი. ოსმალები მუზში გარბიან. ახლა ცხადია, რომ გენ. ალლენბი ადრე განთავისუფლებს პალესტინას ოსმალთა უღლისაგან.

პარიზი. მთელი დღე ღამის განმავლობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. სენ კვენტილის სამხრეთით ფრანგებმა უზამდე მიაღწიეს. მაკედონის ფრონტზე მოკავშირეთა ჯარების წინსვლას დიდი გამარჯვების ხასიათი აქვს. მოკავშირეთა ჯარებმა ვარდარის რკინის გზაზე ხელთ იგდეს ორთქმავლები, 3 მატარებელი, 2 შორსმსროლელი ზარბაზანი. ბევრ ალაგას ბულგარეთის ჯარები დაიფანტენ. იარაღი დასტოვეს. უკანასკნელი ცნობებით წინსვლა გრძელდება მთელს ფრონტზე.

სოფია. ბიტოლის ჩრდილოეთით და ცრინთან ჩვენმა ჯარებმა გარეკეს მტრის რაზმები, რომლებიც იერიშის მოსატანად ემზადებოდენ. მარიგოვოს მიდამოში მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიშები. ცრნის აღმოსავლეთით სასტიკი ბრძოლა გრძელდება. გევგელის სამხრეთით ინგლისის ბატალიონები ცდილობდენ ჩვენს ხაზთან მოახლოვებას, მაგრამ საარტილერიო სროლით გავრეკეთ.

მოსკოვი. „იზვესტია“-ში მოთხრობილია იმის ამბავი, თუ როგორის პატივისცემით დაასაფლავეს ყოფილი მეფე ნიკოლოზი ეკატერინბურგში. ყოფილი მეფის ცხედარი მიწიდან ამოიღეს დასავლეთ ციმბირიდან მოსული სამღვდელოების თანადასწრებით. გვამი ჩაასვენეს ცინკის კუბოში, საპატიო დარაჯის თანხლებით ცხედარი წაასვენეს ეკატერინბურგში და დაასვენეს საკრებულო ეკლესიაში, საიდანაც გაასვენებენ ომსკში დროებით დასაკრძალავად.

ტაშკენტიდან მოსკოვში. სახალხო კომისართა საბჭოს. ჩვენ ორი ფრონტი გვაქვს. ორენბურგის და ასხაბადის. ერთ და იმავე დროს ორ ფრონტზე არ შეგვიძლია ბრძოლა. გვაცნობეთ საქმის ვითარება კავკასიის და იმიერ-კასპიის შესახებ, აგრეთვე საბჭოს ჯარების მდგომარეობა სამარის, სიზრანის, უფის და ურალის მიმართულებით. თავმჯდომარე **კოლოსოვი**, მთავარ-სარდალი ზინოვიევი.

მოსკოვიდან ტაშკენტში. ბონჩ-ბრუევიჩი სამსახურიდან გავიდა. მე რამდენჯერმე გადმოგეცით განკარგულება, რომ შეტევა დაგეწყოთ ორენბურგის და ურალის ფრონტზე და თავი დაგეცვათ ასხაბადის ფრონტზე. სიზრან-სამარის ხაზი გარს შემორტყმულია. მდ. კამაზე ჩვენ ელაბუგამდე მივედით და დავიკავეთ ის. სხვა ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა. კრასნოვოდსკი, ფორტ ალექსანდროვსკი და პეტროვსკი ინგლისელების ხელშია, ბაქო ოსმალების.

მთავრობაში

სამხედრო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: პურის და ცხენების საკვების შეძენის საქმე გადაეცეს სასურსათო მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს.

მიეცეს სამხედრო მინისტრს 25,000 მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან გამანადგურებელ ნავის შესაძენათ იმ პირობით, რომ სამხედრო მინისტრმა გამოარკვიოს ამ ხარჯის აუცილებლობა.

რადიო-ტელეფონი დროებით დარჩეს სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში.

მიეცეს სამხედრო მინისტრს უფლება იყოლიოს თავის განკარგულებაში გენერალთა და შტაბ-ოფიცერთა „რეზერვი“ არა უმეტეს 13 კაცისა.

მიეცეს სამხედრო მინისტრს უფლება მისცეს შტატიან ადგილებზე დანიშნულ ბატალიონის კომანდირებს, როტის კომანდირებს, უფროს და უმცროს აფიცერებს ავანსის ფული იმ ზომით, როგორც მოხსენებულია პროექტში.

მიეცეს სამხედრო მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 24,547 მ 65 კაპ. კრედიტი ბათუმის საზღვაო ქვეითი როტის მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად.

დადგენილ იქნას საზოგადოდ, რომ მომარაგების კომიტეტმა უნდა მისცეს რომელიმე უწყებას, მისი მოთხოვნით, სხვადასხვა საგნები ან ფულად ან სათანადო კრედიტის გადატანით მომარაგების კომიტეტზე.

—

საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა მიეცეს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელს ას ხუთი ათასი მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან საჩქაროდ გაწეულ ხარჯების დასაფარავად.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინ: მიენდოს ფინანსთა მინისტრს დააკმაყოფილოს მაზრების მოთხოვნა მილიციის შესანახი ფულით.

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა მიეცეს ფინანსთა მინისტრის კანცელიარიის მოხელეთა ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად ორმოცდაათი ათასი მანეთი იმ სმეტით ანგარიშში, რომელიც იქნება წარმოდგენილი დასამტკიცებლად ახლო ხანებში.

—

სასურსათო საქმის შესახებ, კომისიის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: კომისიის პროექტი სასურსათო საქმეთა ცენტრალურ ორგანიზაციის შესახებ მოწონებულ იქნა იმ დამატებით, რომ სასურსათო საბჭოს წევრებს მოემატოს თითო თითო წევრი რკინის გზისა და სახალხო გვარდიიდან, ამასთანავე მიღებულ იქნა, რომ აღმასრულებელი ორგანო თავმჯდომარეს, რომელიც უნდა დაინიშნოს მთავრობის მიერ, მიეცეს უფლება მთავრობის სხდომაზე დასწრების სასურსათო საქმეთა გარჩევის დროს.

—

საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა მიეცეს ფინანსთა მინისტრს წინადადება, ეხლავე დაიწყოს მიცემა ხვიდრი დაბეჭდილი ბონებისა ადერბეიჯანის მთავრობისათვის, ხოლო საგარეო სამინისტრომ მოსთხოვოს სომხეთისა და ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლებს, რომ დაჩქარებით წარმოადგინონ სათანადო რატიფიკაცია 6 ენკენისთვეს დადებულ ხელშეკრულობის შესახებ.

—

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: 1) თფილისის და ქუთაისის გუბერნიებს ყოფილ თავად აზნაურთა წოდების უძრავი და მოძრავი ქონება მიღებულ იქნას საქართველოს სახელმწიფო საკუთრებათ; 2) მიღებულ იქნას საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებათ აგრეთვე, ყოფილი ღარიბ მოწაფეთა დამხმარე თფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საზოგადოების მთელი ქონება; 3) ამ ქონებათა მართვა-გამგეობის წესრიგის შესამუშავებლად არჩეულ იქნას კომისია მიწათმოქმედების, გზათა, სახალხო განათლების და ფინანსთა მინისტრებისაგან.

—

მთავრობის საქმეთა მმართველის მოხსენებით დადგენილ იქმნა. რომ მთავრობის 1 აგვისტოს 1918 წლის დადგენილება, რომლითაც ნება დართული იყო გაყიდვა განოვის ქუჩაზე (თფილისში) მდებარე მამულის, ყოფილი ღარიბ მოწაფეთა დამხმარე თფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საზოგადოებისა, გაუქმდეს.

იუსტიციის მინისტრის მოხსენებით პურის მყიდველ მთავარ რწმუნებულ არდიშვილს დაევალა, დაუყონებლივ მისცეს ციხეების ინსპექციას საჭირო პური ტუსაღების შესანახად.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება ს.-დ. პ. საოლქო კომიტეტის კრება. გახარჩევია საყურადღებო კითხვები.

◆ **მოლაპარაკება ყუბანის მთავრობასთან.** საქართველოს მთავრობის წარმომადგენელნი ევგენი გეგეჭკორი და გენ. მაზნიაშვილი 22 სექტემბერს სოჩიდან ნოვოროსიისკით ეკატერინოდარში გაემგზავრენ ყუბანის მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ.

◆ **დუშეთის მაზრაში** მომხდარ ამბების საგამომძიებლო კომისია სთხოვს ყაზბეგში მცხოვრებთ მღვდელ ღუდუშაურს, სიმონ შადურს და ნიკოლოზ ხეთაგურს, რომელნიც ეხლა ხან თფილისში იმყოფებიან, აუცილებლათ შემოიარონ კომისიის კანცელიარიაში, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს დაწესებულებათა დარბაზში, სასამართლოს ქუჩაზე კანცელიარია ღიაა 10 საათიდან ორამდე. ამავე წინადადებით კომისია მიმართავს პეტრე მანჯგალაძეს, საბურთალოს რაიონ ს კომისარს ივ. ტატიშვილს, მცხეთის კომისარს კილურაძეს და მცხეთისვე ყოფილ მილიციონერ კანდარელს, რომელნიც ადგილობრივ ვერ ინახულა კომისიამ.

◆ **ქართულ-გერმანულ საზოგადოების** გამგეობის სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 25 სექტემბერს, საღამოს სრულს 7 ნახევარ საათზე, ფრეილინის ქ. № 11. წევრთა დასწრება სავალდებულოა.

◆ **ელექტრონის ენერგია.** ქალაქის თვითმართველობამ დაარსა სპეციალური კომისია მასალების დასამუშავებლად მდ. არაგვსა და ხრამზე გიდრავლიური სადგურის ასაშენებლად, რომ ქალაქმა აქედან ელექტრონის ენერგიით ისარგებლოს.

◆ **სააქციზო გადასახადი ღვინოზე.** ფინანსთა სამინისტრომ აუცილებლად აღიარა გადასახადი დაადვას ღვინოს არა მარტო ქალაქში, არამედ იქაც, სადაც ღვინის წარმოებას არ მისდევენ. ამ საშუალებით ხაზინის შემოსავალი წელიწადში 28 მილიონ მანეთით იმატებს.

◆ **დატუსაღება.** სასურსათო მინისტრის კაბინეტში მინისტრმა დაატუსაღა ქუთათელი ვაჭარი ნარსია, რომელმაც ქუთაისის სასურსათო კომიტეტთან დადებულ ხელშეკრულობით ადერბეიჯანში გაიტანა 2 ვაგონი შაქარი და მაგიერი პური არ შემოიტანია, რომელიც კონტრაქტის ძალით უნდა შემოეტანა. სამინისტროს ცნობით მან შაქარი იქ გაჰყიდა დიდ ფასებში. საქმე გადაეცა პროკურორს.

◆ **ტყვე ინგლისელები.** 23 სექტემბერს ოსმალებმა ბაქოდან თფილისში ჩამოიყვანეს პირველი პარტია ტყვე-ინგლისელებისა. ამ ჟამად ქ. განჯაში იმყოფება 100 ინგლისელი ტყვე.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში ქალაქის საავათმყოფოში მოიყვანეს 14 ხოლერიანი და 10 საეჭვო ავადმყოფი. მორჩა და გამოეწერა 30 კაცი, გარდაიცვალა 19 კაცი. 23 სექტემბერს საავათმყოფოში იყო 92 ხოლერიანი და 12 საეჭვო.

◆ **გაზეთი „ტრუდ. ზნამია“.** მთავრობამ განიხილა წინადადება გაზეთ „ტრუდოვოე ზნამიას“ მიმართულების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ ხსენებული გაზეთი აგიტაციას ეწევა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რომ ამის დამოუკიდებლად გაზეთის № 57-ის მოწინავე შეიცავდა საქართველოს მეგობარ სახელმწიფოს გერმანიის მთავრობის აგენტების შეურაცხყოფას, ვითომ სოფელში ისინი უცხოეთის საეჭვო ღირებულების ქაღალდის ფულებს ავრცელებენ,—მთავრობამ დაადგინა: 1) შეაჩეროს გაზ. „ტრუდოვოე ზნამიას“ გამოცემა და 2) ხსენებულ გაზეთის რედაქტორი სისხლის სამართალში მისცეს

◆ **ადერბეიჯანის რესპუბლიკის გზათა** მინისტრმა, გამოუგზავნა საქართველოს გზათა მინისტრს და დიპლომატიურ წარმომადგენელ ჯაფაროვს შემდეგი შინაარსის დეპეშა: გაუწყებთ, რომ ადერბეიჯანის მთავრობა თანახმაა მიიღოს თავის თავზე ჯულფა-ბაქოს რაიონის გზის ლიკვიდაცია თფილისში შემუშავებულ გეგმის მიხედვით იმ პირობით, თუ ამ გზების სამმართველო ბაქოში გადავა.

◆ **კასპიის ზღვა** ინგლისელების ხელშია. ოსმალების ხელში გადავიდა 15 გემი. „ყარსი“ და „არდაგანი“, ჯერაც არ დანებებულან. ადერბეიჯანის მთავრობამ სატახტო ქალაქად ბაქო აღიარა.

◆ **ბოლშევიკთა ბრბოების მეთაურების დატუსაღება.** სენაკის მაზრის კომისარი აცყობინებს ქუთაისის გუბერ. კომისარს, რომ სოფ. ჭოლევში მილიციონერებმა დააპატიმრეს ბოლშევიკურ ბრბოების მეთაურები პორ. აკაკი ოჩიგავა, რომელიც ლეჩხუმში ყოფნის დროს ორბელიანის გვარით დადიოდა და ყოფილი „სტრაჟნიკი“ ანდრია ქაჯაია. ორივენი ციხეში მოათავსეს.

◆ **დაჯარიმება.** ცხვრის ხორცის ნიხრის ზევით გაყიდვისათვის მ. გულიაშვილი დაჯარიმებულ იქმნა 200 მანეთით; ეზოს უსუფთაობისათვის ტერ ავაკოვი—300 მანეთით; კომბოსტოს ნიხრის ზევით გაყიდვისათვის თედიაშვილი —100 მანეთით, ყველის ნიხრის ზევით გაყიდვისათვის ა. გიგოლოვი—300 მანეთით, რძის ნიხრის ზევით გაყიდვისათვის მ. ასლანიანცი 5 თუმნით. თუ ხსენებული პირნი ჯარიმას არ გადიხდიან, მათ მიესჯებათ 2—3 თვით ციხე.

◆ **ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში** თხოვნები მიიღება 1 ოქტომბრამდე.

◆ **გერმანიის საიმპერატორო** წარმომადგენლად ადერბეიჯანის მთავრობაში დაინიშნა პოლკოვნიკი ფონ-დესპოლცი, რომელიც ამ დღეებში ბაქოში გაემგზავრება.

◆ **ბიჩერახოვის რაზმმა** დაიპყრო ქ. დერბენტი და სად. პროხლადნისკენ გაილაშქრა ყაზახებთან შესაერთებლად.

◆ **საზოგადო წესიერების დარღვევისათვის** ერთი თვით ციხე მიესაჯეს ი. მაკარენკოს და მ. სპირიდონოვას.

◆ **დელეგაციის გამგზავრება.** 23 სექტემბერს თფილისიდან ბაქოში გაემგზავრა ავსტრო-უნგრეთის დელეგაცია ფრანკენ-შტეინის მეთაურობით. ბაქოში 3000 მდე ავსტრიელი ტყვეა.

◆ **ბაქოდან ჩამოსული** გერმანიის აფიცრის ცნობით, ბაქოში 8 მილიონი ფუთი ნავთია. შეიძლება რამოდენიმე დღის შემდეგ თფილისმა ბაქოდან საკმაო ნავთი მიიღოს.

◆ **ქართ. სამუსიკო საზოგად.** გამგეობამ დაადგინა: გამოაცხადოს კონკურსი კვარტეტისა (ვიოლინი I, II, ალტი და ჩილო), რომელიც დაწერილი უნდა იყოს მხოლოდ ქართულ მუსიკით. პირველი პრემია დაინიშნება 1500 მ., II—1000 მან. და III—800 მან. ამ დღეებში, თანახმად განათლების სამინისტროსი, ქართული მუსიკალური სკოლა გადადის ლედათა ინსტიტუტის შენობაში, რომელშიაც იმყოფება სპეციალურად მოწყობილი სამუსიკო ოთახები საკონცერტო დარბაზით.

◆ **თავის მოკლის განზრახვა.** 22 სექტემბერს საღამოს 8 საათზე თავის მოკლის განზრახვით სასტუმრო „სოიუზის“ მესამე სართულიდან გადავარდა მარია გალკინი, რომელიც ძლიერ დაშავდა.

◆ **ქურდობა.** ამ დღეებში ტიგრან ივ. კამოევის სახლიდან, მიხაილოვის ქუჩა, მოიპარეს 10,000 მანეთი ფულად და 120,000 მან. სხვადასხვა ნივთები.

◆ **სამაზრო ერობის სხდომა.** 20 სექტემბერს, ახალ სენაკში შესდგა სამაზრო ერობის სხდომა, სადაც გაირჩა სასკოლო კომისიის მოხსენება. მიღებულ იქნა შკოლის საქმე გადავიდეს ერობის ხელში. შკოლები უნდა იქნეს სამი ტიპის: დაბალი, უმაღლესი პირველდაწყებითი და გიმნაზიები, სადაც მოწაფეებს უფლება ექნებათ დაბალიდან უმაღლესში და უმაღლესიდან გიმნაზიაში უეგზამენოთ გადასვლის. პროფესიონალური და ტეხნიკურ-ფინანსიური კომისიის გამოანგარიშებით შკოლების მოწყობის საქმე 4 მილიონ ნახევარი მან. დაჯდება.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო: 1) საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია შედგენილი დეკ. მ. კელენჯერიძის მიერ, ფასი უყდოთ 4 მ. 50 კ.; 2) საქართველოს ეკლესიის ისტორია ევ. ნიკოლაძისა, ფასი უყდოთ 5 მ; 3) მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა, ორგანიული ბუნება ზოოლოგია, შედგენილი მ. ზაალიშვილის მიერ, ფასი უყდოთ 5 მ.

კრებები.

ხუთშაბათს, საღამოს 8 საათზე, მელიქიშვილის საავადმყოფოში, ქსენიას ქ. № 7, დანიშნულია ტერმინოლოგიურ სექციის კრება. განხილული იქნება ანატომიური ტერმინები. თავმჯდომარე სთხოვს სექციის წევრებს და აგრეთვე ყველას, ვისაც კი აინტერესებს ეს საკითხი დაესწრონ.

— გურიის დამხმარე კომიტეტის კრება შესდგება დღეს საღამოს შვიდ საათზე „ერთობის“ რედაქციაში.

ერთობის უბანი.

18 სექტემბერს ამ უბნის მუშათა კლუბში შესდგა ახლათ არჩეულ უბნის კომიტეტის წევრების კრება. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: უბნის სანიტარული მდგომარეობა, უბანში მომხდარ უკმაყოფილებების განხილვა, თავდაცვა, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და ღვინით ვაჭრობის მოსპობა კერძო ბინებზე და სამიკიტნოებში.

ამ ეპიდემიური ავადმყოფობის მძვინვარების დროს, ჩვენი უბანი უყურადღებოთ არის დატოვებული და არვისგან არავითარი ზომები არ იყო მიღებული. ამ მდგომარეობას აქცევს ყურადღებას უბნის კომიტეტი და ირჩევს სანიტარულ კომისიას, რომელსაც ევალება უბანში სისუფთავის დაცვა.

რადგანაც ხშირია შემთხვევა, როცა მცხოვრებლები ურთიერთშორის ჩამოვარდნილ უკმაყოფილების გასარჩევათ მიმართავენ ადგილობრივ ორგანიზაციებს, ამიტომ უბნის კომიტეტთან არსდება საჩივრების კომისია, რომელიც საჭირო რჩევას მისცემს მცხოვრებლებს.

ღამღამის თავდაცვის საქმეს უბანში ხელმძღვანელობდა სახალხო გვარდიელთა ამ უბნის შტაბი. რადგანაც დღეს მათ აქვთ თავიანთი პირდაპირი მოვალეობა, ამიტომ უბნის კომიტეტი თითონ აწყობს თავდაცვის საქმეს და ირჩევს სათანადო კომისიას.

კრებაზე გამოითქვა აზრი, რომ უკვე არსებული კულტურულ განმანათლებელი მუშაობა განცხოველებული იქნეს, მოეწყოს ადგილობრივ მუშათა კლუბში რეგულიარულათ ლექციების კითხვა და წარმოდგენების მართვა. ამორჩეულ იქნა კულტურულ-განმანათლებელი კომისია 7 კაცისაგან კოოპტაციის უფლებით.

რომ ღვინით ვაჭრობის მოსპობა კერძო ბინებზე და სამიკიტნოებში—აუცილებელია, ეს ყველამ ერთხმათ დაადასტურეს მით უმეტეს, რომ ამის შესახებ დადგენილებაც იყო გამოტანილი ადრევე ამ უბნის მცხოვრებლების საერთო კრების მიერ, მაგრამ, კამათი გამოიწვია საკითხმა: ვებრძოლოთ საკუთარი ძალღონით ამ მოვლენას თუ მთავრობის, ადმინისტრაციის დახმარებით. გადასწყდა, რომ უბნის კომიტეტს საკმარისი ძალაც აქვს და გავლენაც, რომ იგი შესძლებს ფარულათ ღვინით ვაჭრობის და ლოთობის მოსპობას. ამოირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა მიიღოს ყოველივე ზომები ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ.

ამავე კომისიას ევალება, თუ ეს საჭიროთ დარჩა, გაახსნევინოს რომელიმე ფირმას თავის განყოფილება მხოლოდ იმ პირობით, რომ ჰყიდოს ღვინო დაბეჭდილი ბოთლებით და სახლში წასაღებათ.

ნ. თ—ლი.

პროვინციის ქრონიკა

ს. ჭყონაგვარა (გურია). ეგ. ნინოშვილის სახელობის სოფ. ჭყონაგვრის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველა იმ პირთ, ვის ხელშიაც არის ხსენებული წიგნთსაცავ-სამკითხველოს სახელით გამოცემული „შემოწირულების ფურცელი“ დაუყოვნებლივ დაუბრუნოს გამგეობას.

ბორჯომი. 18 ამ თვეს ბორჯომში ჩამოვიდა განათლების სამინისტროს მთავარი გამგე ბ. თაქთაქიშვილი, რომელმაც მოხსენება გააკეთა ბორჯომში საშუალო 8 კლასიანი კომერციული სასწავლებლის გახსნის შესახებ. მომხსენებელმა გადასცა სასკოლო კომისიას, რომ განათლების მინისტრმა ნება დართო უკვე ხსენებულ სასწავლებლის გახსნის
შესახებ, ხოლო დაბოლოვებით
წლის საზოგადოების ხარჯით.
[illegible]
ნებული საშუალო სასწავლებელი.

გორი. კვირას, 29 ენკენისთვეს
ლი სტ.) დანიშნულია გორის რა
სახალხო სასწავლებელთა მასწავლ
ბის კავშირის მორიგი ჩვეულებრივ
ბა გორის უმაღლეს პირველ და
სკოლის შენობაში დილის 10 საა

დუშეთის მაზრის გლე
ყრილობა

დუშეთის მაზრაში მომუშავე პ
განდისტების (სასოფლო კომისიის
მომადგენლების) ინიციატორობი
ენკენისთვეს ქ. დუშეთში მოწვე
დუშეთის მაზრის გლეხთა ყრი
მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ სოფ
საშემოდგომო მუშაობა არ დამთავ
ლა და ამასთანავე ხდება ჯარისკა
მობილიზაცი, რაც ხელს უშლიდ
ჩვენებს, ყრილობაზე გამოცხადდა
მაო რიცხვი დელეგატებისა. 12
გადოებიდან ყრილობაზე წარმოდგე
იყო 9 საზოგადოება. 60 კაციდან
ლობას დაესწრო 10 დელეგატი.
ლობას დაესწრ 6 თფილისიდან საგ
ბით მოწვეულნი, ეროვნულ ს
წევრნი, რ. არსენიძე და რ. ჩხ
ყრილობა გახსნა ამხ. დ. ჩხეიძემ
ლისის მუშათა საბჭოს აღმასრულ
კომიტეტთან არსებულ სასოფლო
კის სახელით. ეროვნულ საბჭოს
დემ. ფრაქციის სახელით ყრილობა
ესალმა რ. არსენიძე. უსურვა, რომ
ლობის მუშაობა ყოფილიყო არა მ
დუშეთის მაზრისთვის ნაყოფიერი,
მედ—მთელი საქართველოსთვის,
განაც ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ
თან ერთად დანარჩენი მაზრებიც
ლიყვნენ ბედნიერნი. ეს კი მოი
მხოლოდ ერთ რამეს: რომ ყველა
მა თავისი მოვალეობა შეასრულ
თავისი უფლების შეურულება მო
ვოს. თუ ეს ყრილობა ამ არევ-და
შემდეგ შესძლებს ცოტაოდნათ
გაიკაფოს გზა ცხოვრებისა და გ
ნოს ისეთი გზა, რომელიც უნდა
სახელმწიფოებრივი, თუ თქვენ
ბას ექნება მტკიცე ხასიათი, მა
ყრილობის მუშაობა გამოიღებს ნა
რუსეთის სახელმწიფო დაინგრა,
არის. ჩვენ გვიხდება საკუთარ სახე
ფოს აშენება, მაგრამ ეს უცებ არ
ლება. ნუ აჩქარდებით: დავადგეთ
გზას, საიდანაც შეგვეძლება ავაშ
ისეთი სახლი, სადაც გაიჰედება სა
კეთილდღეობა ჩვენი მშრომელი ხალ
მოკლე და მხურვალე სიტყვით
მართა ყრილობას ამხ. ჩიხლაძემ.
თის მაზრის გლეხთა წარმომადგენე
სასოფლო კომისიამ გამომატანა
თან მხურვალე სალამი და წრფელი
ვილი, რომ ამ ყრილობის მუშაობა
ფილიყოს ნაყოფიერი. სასოფლო
სია იმედოვნებს, რომ დუშეთის მა
გლეხობა კვლავ იმყოფება იმ წ
ბაირაღის ქვეშ, რომელსაც ის დღ
ატარებდა სხვა მაზრებთან ერთად;
ის გაუგებრობა და უწესოება,
მელსაც ჰქონდა აქ ალაგი და რომ
ხელს უშლიდა მშრომელ ხალხის კე
ლდღეობის განმტკიცებას, არ მოხდე
ამიერიდან დუშეთის მაზრის გლე
ცობა ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლი
ლაქის მუშებთან ერთად დიდ სამ
მოთ ჩაიმარხოს ის ლაქა, რომე
თქვენ დროებით ამოგშალა რევო
ციის დამცველთა საერთო სიიდან.
ყრილობას მიესალმა მაზრის აღ
რულებელი კომიტეტის სახელით
ვანო ტატიშვილი, რომელმაც აღნ
ღვაწლი დუშეთის მაზრაში დაღ
ამხანაგებისა. ყრილობამ ფეხზე ა
მით პატივი სცა მათ ხსოვნას. მისა
მებელი სიტყვები წარმოსთქვეს აგ
ვე: ქალაქის თვითმართველობის
სოც. ფედ. ადგილობრივ ორგანიზ
ის წარმომადგენლებმა.
მიღებულ იქნა შემდეგი დღის
რიგი: 1) მოხსენებანი ადგილებიდა
მიმდინარე მომენტი; 3) მიწის საკ
4) ერობა; 5. გლეხთა ყრილობის
მასრულ. კომიტეტის არჩევნები. მ
ნებებმა ნათლათ დაანახვა ყველას
ვანდელი ცხოვრება და მდგომარ
დუშეთის მაზრის გლეხობისა. სხ
სხვა რაიონებ ს წარმომადგენლების
სენებიდან გამოირკვა, რომ ბოლშე
სოფლებში დღესაც არსებობს. მო
შევიკი ხალხი ბლომათ მოიპოვება
არა სჯერათ რა ახალი მთავრობ
კიდევ თავისას გაიძახიან და უ
შესაფერ დროს, რომ კვლავ
ღონ ხელში იარაღი და გამ
დენ ვითომდა „თავად აზნაურ
წინააღმდეგ. ერთმა გლეხმა ასე
ახასიათა ეს ახალ მოდის „ბოლშევ
ბი“: „ვინც უსაქმოთ დაეხეტება ან
ფერს. აკეთებს და წევს ჩრდილოში,
ღია იარაღი და ძალით უნდა გაა
როს ყველაფერი,—აი ასეთი ხალხი
დარა „ბოლშევიკი“. მერე იარაღიც

ით ჯერ საკმაო არის და სწორეთ
ეთ ავსა და მავნე პირებს შერჩენიათ,
რომ, მათ ადვილათ შეუძლიათ დაი-
რჩილონ სოფელი.
ხშირად ხდება, რომ მართალს და სან-
ო კაცებს ართმევენ იარაღს. ერთი
აიონის ამორჩეულმა პირმა განაცხადა:
თელმა ხეობამ ამომირჩია, კომისრობაც
დამაკისრეს, მერე მობრძანდა მაზ-
ის კომისარი, ერთი თოფი მქონდა და
სიც კი ჩამომართვაო.
გარდა ამისა, მომხსენებლებმა აღნიშ-
ეს, რომ ახალი ადმინისტრაციის მოქ-
ედება ხალხში მითქმა-მოთქმას იწვევს
ა მასალას აძლევს ხალხის მტრებს და
როვოკატორებს: ერთის მხრით ამბო-
ენ, რომ მართლა აზნაურები დაგვდგო-
იაო, რადგანაც ყოფილა მაგალითი,
ომ ერთ აზნაურს მაზრის კომისარის
ახმარებით აულია ღალა გლეხებიდან;
ორეს მხრით ასე იძახიან: ბოლშევიკე-
რომ გვეუბნებოდენ ძველი წესი აღდ-
ებაო, ე რა არის მართლა ძველი „ნა-
რისტავალებს" გვიგზავნიანო". ამრი-
ათ ხალხი ეჭვში შედის და არ იცის კი-
ეგ რა გზას დაადგეს. მომხსენებლებმა
ღნიშნეს აგრეთვე მაზრის მილიციის
ეროსის უმართებულო ქცევა ამორ-
ეულ ხალხის, ნდობით აღჭურვილ პი-
ებთანაც კი.
სამართალის უქონლობაც ძლიერ აწუ-
ებს გლეხებს, სოფელში აღარავინ მო-
პოვება, რომ მტყუანი მართლისაგან
აარჩიოს.
მამულების შესახებ თითქმის ყველა
ოფლებში დავა და ჩხუბია ხოლმე; მი-
ის საქმის მოუწესრიგებლობის გამო
ალიან შეწუხებულია გლეხობა, ზოგან
ითონ დაუნაწილებიათ მიწები რის
ი-ვაგლახით, ბევრგან მთავრობის კო-
ისიას მოელიან.
მობილიზაციის საქმე შედარებით კარ-
ათ მიდის, მხოლოდ მობოლშევიკო ხალ-
ი ძალიან ხელს უშლის და სხვადასხვა
ორებს ავრცელებენ, თითქოს ჩვენს
თავრობას ჯარი „ინგლისთან" საომრათ
ყავს და სხ.
საერთოდ კი, ხალხის ფართო მასსა ჩვე-
ი მთავრობის წინააღმდეგ არც ყოფილა
ა არც იქნება. ერთმა დელეგატმა მო-
ვევმ, სხვათა შორის სთქვა: თუ ჩვენ
თავრობას შევებმოდით და მის წინააღმ-
ეგ გამოვიდოდით, ეს ისევ ჩვენი თავის
აქცევა იქნებოდაო.
მოხსენებები მეტად საინტერესო და
ინაარსიანი იყო. მაგრამ, სამწუხაროთ,
ედერალისტების წარმომადგენელნი თა-
ის უადგილო და ვიწრო პარტიული ინ-
ერესით ნაკარნახევი შეკითხვებით ხში-
ათ აფერხებდენ ყრილობის მუშაობას.
აგალითად, აძლევდენ დელეგატებს ასეთ
კითხვებს: ახალგორის კომისარს, (რო-
ელიც ფედერალისტი გახლავთ) მართ-
ა დასცემიან ყაჩაღები თუ არაო და
ეურაცხყოფა მიუყენებიათო. ქვიშხეთის
აიონის კომისარზე, რომელიც ოსი
რის, ხალხი კმაყოფილია თუ არაო. დე-
ეგატების არჩევნები მართლა მოხდა
თუ ისე გამოგზავნესო, რაც დღის წეს-
იგში კითხვებია დასმული წინასწარ
აარჩიეთ ადგილობრივ, თუ არა, ადმი-
ისტრატორები, კომისრები და სხვ.
როამებს თუ ღებენ, ან იქნებ ფულე-
ი გაფლანგეს მათ, სთქვით ნუ გეში-
იათო და სხ
ამ უკანასკნელ კითხვით მაინც ნამეტ-
ავათ ჩააცივდენ ხალხს, სთქვით და
თქვით თუ ვინმემ გაფლანგა ფულებიო.
ხადია, უნდოდათ რაღაც გამოექექათ,
ყრილობის უკანონობაც გამოეცხადებიათ,
აგრამ ყველა მათმა შეკითხვებმა ჩაი-
ულის წყალი დალიეს და მიზანს ვერ
იაღწიეს.
მიმდინარე მომენტზე ვრცელი მოხსე-
ება გააკეთა ამხ. რ. არსენიძემ. დაწვ-
ილებით გააცნო ყრილობას ჩვენი ქვეყ-
ის დღევანდელი მდგომარეობა და აგ-
ეთვე ის კანონები, რომელსაც მთავ-
ობა აპირებს გამოსცეს ამ ახლო ხან-
ი. აქაც მოინდომეს ბ-ნმა ფედერა-
ისტებმა აემღვრიათ წყალი და კვლავ
დმინისტრაციის წინააღმდეგ გაილაშ-
რეს. ყველაფერი ის, რაც მოხდა დუშე-
თის მაზრაში, დუშეთის ორგანიზაციებს
და ადმინისტრაციას გადააბრალეს, თით-
ოს ესენი არ იცნობდენ ხალხს, ჩვენი
ვეყნის მდგომარეობას და ხალხი სიბ-
ელეში ჰყავდათ.
მიუხედავათ იმისა, რომ დუშეთის მაზ-
აში მომხდარი არეულობის შესახებ
ალკე კითხვა არ იყო შეტანილი დღის
ესრიგში, ფედერალისტებმა მოინდომეს
ალა დაესვათ ეს კითხვა, მაგრამ ყრი-
ლობამ ერთხმად უარყო მათი წინადა-
ება.
მიწის საკითხზე მოხსენება გააკეთა
მხ. ჩიხლაძემ. მან გააცნო ყრილობას
ს დებულებები, რომლებიც მთავრობის
აზრით, უნდა დაედოს საფუძვლათ მი-
ის საკითხის გადაჭრას და ნათლათ
აამტკიცა მთავრობის შეხედულების სა-
ართლიანობა. ამასთანავე მიმართა დე-
ეგატებს გამოეთქვათ თავისი აზრი.
აგრამ აქაც წინ გადაუდგნენ ფედერა-
ისტები და არც კი მისცეს საშვალებ-
ელეგატებს ელაპარაკნათ. ბ-მა ქელა
აქიანმა (ადგილ. ფედერ. ორგან. წარ-
მომადგენელი) მთელი „ლექცია" წა-

კითხა მიწის საკითხზე და ისეთი იაფფასიანი დემაგოგიით გაუმასპინძლდა სოც.-დემოკრატებს, რომ ქუჩის უბრალო მოლაყბეც კი არ იკადრებდა.

კერძო საკუთრების მოსპობაზე კრინტიც არ დაუძრავს და გლახა ჭრიაშვილივით სულ ამას იმეორებდა: ფედერალისტების პროგრამით ყიდვა-გაყიდვა მიწის უნდა მოისპოს, სოც.-დემოკრატები კი მიწას ისევ ხალხის მყვლეფელებს, მემამულეებს და ბურჟუებს ჩაუგდებენ ხელშიო; მიწა უნდა მიეცეს მხოლოდ მიწის მუშებს, იმათ, ვისაც დაკოჟრილი ხელები აქვს, და არა მღვდლებს და ვაჭრებს ან ვექილებს, რომელნიც პეტროგრადში სცხოვრობენ; მიწა უნდა გადაეცეს გლეხებს უფასოდ, რადგანაც საცოდავი, ღარიბ ღატაკი გლეხის ფული ჩვენ სახელმწიფოს ვერას უშველის, ხაზინა ისედაც გაკოტრებულიაო; წავიდეთ, დავდგათ ყუთი სოფელში, ვილაპარაკოთ სოც.-ფედერალისტი და სოც. დემოკრატი მიწის საკითხზე. და აბა ვნახოთ ვის მისცემენ ხმასო და სხვ. ასეთები.

აი, ასეთ „სახელმწიფოებრივ" მუშაობას ეწევიან დუშეთის ფედერალისტები გლეხთა ყრილობაზე! მიუხედავათ ასეთი თავ გამოდებულ მუშაობისა მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და ყრილობამ მიიღო მომხსენებლის სამივე წინადადება.

1) დუშეთის გლეხთა ყრილობა ადგენს, რომ ჩამორთმეული მიწები დაურიგდეს გლეხებს კერძო საკუთრებათ.

2) გლეხებს მათზე გადაცემულ მიწაში შეუძლიან გაიღონ იმდენი სასყიდელი, რამდენიც მიწის ჩამორთმევის, გაყოფის და სხვა ამგვარ ხარჯებს გაისტუმრებს.

3) სოფლათ მიწის ყიდვა გაყიდვა შეზღუდულ იქნას, რომ ბევრი მიწა მდიდრებს არ ჩაუვარდეთ ხელში.

ფედერალისტებმა შემდეგი წინადადება შემოიტანეს: გლეხთა ყრილობა ადგენს: გლეხებს გადაეცეთ მიწა უფასოდ და მოისპოს მიწაზე ყიდვა გაყიდვა. ამ საკითხის გადაწყვეტა მოხდეს საბოლოვოდ სოფლების ყრილობაზე.

ამ წინადადებამ მიიღო ერთი ხმა.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. არსენიძემ და ყრილობას გააცნო ერობის დანიშნულება და მნიშვნელობა. ბოლოს ყრილობამ მიიღო წინადადება: აირჩიეს გლეხთა ყრილობის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც შევლენ ყველა საზოგადოებიდან თითო წარმომადგენელი, ასე რომ, კომიტეტში იქნება 12 კაცი; ეს კომიტეტი გამოჰყოფს ბიუროს, რომელიც მუდმივათ იმუშავებს ცენტრში.

აქაც ფედერალისტებმა თავისებურობა გამოიჩინეს და შემოიტანეს წინადადება, რომ მათი წარმომადგენელი შეეყვანათ გლეხთა კომიტეტში. ყრილობის თავმჯდომარე მოთმინებიდან გამოვიდა და აღნიშნა მათი (ფედერ—ბის) ყრილობაზე ხელის შემშლელი გამოსვლები და შესაფერი მსჯავრი დასდო მათ მოქმედებას, რამაც გამოიწვია ფედერალისტების პროტესტი და ყრილობის დატოვება. სხვა დროს ასეთ ინცინდენტს და უმართებულო საქციელს ბ-ნი ფედერალისტებისას არც კი აღვნიშნავდით, მაგრამ დღეს, როცა საჭიროა შეთანხმებული მუშაობა დემოკრატიულ სახელმწიფოს შენებაში, უნდა იცოდეს მათმა პარტიამ, თუ როგორ მოღვაწეობენ ქ. დუშეთის ფედერალისტების ლიდერები, ვაჟბატონები—ბერიშვილი და კამპ!

ყრილობამ, რა თქმა უნდა, უყურადღებოთ დასტოვა ფედერ. პროტესტი.

ვინაიდან ზოგიერთი საზოგადოების წარმომადგენლები სულ არ დასწრებია ყრილობას და ზოგიერთებიდან კი არ იყო საკმაო რიცხვი დელეგატებისა, ამიტომ ყრილობამ დაადგინა: აერჩია ჯერ დროებითი კომიტეტი, რომელსაც დაევალა რაც შეიძლება დაჩქარებით მოახდინოს გლეხთა კომიტეტის წევრების არჩევნები. დროებით კომიტეტში არჩეულ იქნენ: ირ. ურუშაძე, ს. ფარესაშვილი, მიხ. ქურციკაძე, ტ. შუშიაშვილი და მ. ლალიაშვილი.

უნინი.

ქართველ ექიმთა საყურადღებოთ

ამა წლის 20 ოქტომბერს ახალი სტილით, კვირას, 12 საათზე ქ. თბილისში მოხდება შეერთებული კრება თბილისის ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა და ქუთაისის საგუბერნიო ქართველ ექიმთა კავშირისა. წესრიგი კრებისა იქნება შემდეგი: 1) საკითხი ხსენებულ ორ საზოგადოებათა მოქმედების შეთანხმებისა და გაერთიანების შესახებ, 2) საკითხი საქართველოს რესპუბლიკის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ყრილობის მოწვევის შესახებ. წაკითხულ იქნება პროგრამა ყრილობისა, 3) მოხსენება ექ. ი. თიკანაძისა ქართულ საექიმო და საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის შესახებ, 4) მოხსენება ექ. ალ. დიასამიძისა—სტატისტიკური ცნობები ქართველ ექიმთა რაოდენობის შესახებ, 5) საკითხი ქართული საექიმო და საბუნებისმეტყველო ჟურნალის გამოცემის შესახებ, 6) სხვადასხვა საორგანიზაციო კითხვები.

შენიშვნა 1: ვისაც სურს რაიმე მოხსენება წარმოადგინოს ხსენებულ კრებაზე, საჭიროა წინასწარ აცნობოს მოხსენების სათაური ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მდივანს, ექიმ მ. წინამძღვარიშვილს არა უგვიანეს 12 ოქტომბრისა. **შენიშვნა 2**: ქუთაისურ ამხანაგების ჩამოსვლის გამო აღძრული იქნება შუამდგომლობა, რომ მათ დაეთმოთ ცალკე ვაგონი ქუთაისიდან თფილისამდე და უკ-ნ. **შენიშვნა 3**: ყოველივე ცნობები შესახებ განზრახული კრებისა მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ექ. მ. წინამძღვარიშვილისაგან.

მდივანი ქართვ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა, ექ. მ **წინამძღვრიშვილი**.

მისამართი: თფილისი, ელისაბედის ქუჩა № 7.

არსენ მამულაიშვილი

არსენის მოშორების დღე უსაშინელესი დღე არის ჩემს ცხოვრებაში... ამ დღეს შენი ჭკვიანი სახე, წრფელი გული, ფაქიზი სხეული მიაბარეთ ცივ მიწას, ბნელ სამარეს. უკანასკნელად გამოგეთხოვე ჩემო საყვარელო ბიძა, ჩემო მასწავლებელო, დაუღალავო მზრუნველო, ეკლიანი გზის გამცელო, გამნათებელო, ჩემო აღმზრდელო, მრჩეველო და დამრიგებელო.

აი ვინ მიაბარეთ შავს მიწას, აი რად ვსტირი, რით ვქვითინებ. მაგრამ განა მარტო მე ვსტირი, მე მიკლავს გულს, მე მცემს თავზარს შენი დაკარგვა? არა, ჩემო ძვირფასო მასწავლებელო არსენ! ქვითინებენ შენი ამხანაგები, სტირიან ჭირისუფალნი, გლოვობს მთელი ქართველი ხალხი. შენ ყველასათვის დაუშრეტელი წყარო, სულიერი სიმდიდრე იყავი, ყველას არიგებდი, კარგ მომავალისკენ იწვევდი, აქეზებდი, ახალისებდი, მომავალს უთვალისწინებდი და მის მოსაპოვებლად ბრძოლას ასწავლიდი, მაგრამ ყველა ამას ჩადიოდი ჩუმად, სხვის შეუმჩნევლად, აუჩქარებლად, ენერგიულად თავ გამოდებით.

დღეს კი შესწყდა ეს დაუშრეტელი წყარო, ულმობელმა, შავმა სიკვდილმა თავისი ჰქნა, მოგვაშორა შენი თავი, დაგვაობლა უდროვოთ, მაგრამ, ჩემო საყვარელო ბიძა, ძვირფასო მასწავლებელო, გვრჩება ერთი: რასაც ცხოვრების სიდუხჭირე ლაქს ვერ მოსცხებს, ულმობელი სიკვდილი ქედს ვერ მოახრევინებს. ეს ის ნაწერებია, რაც მოგვცა შენმა მადლიანმა კალამმა, შენმა ნიჭმა.

ეხლა მშვიდობით, ძვირფასო არსენ! წადი იქ, სადაც განისვენებს შენი საყვარელი იდეურ სულიერი ამხანაგები.

მშვიდობით ..

ზაქრო ინწკირველი.

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა

19 სექტემბრის სხდომა.

სხდომის დასაწყისში გზათა მინისტრის ამხანაგი მალანია აცნობებს ყრილობას, რომ ტყიბულის მაღაროებში შესწყდა გაფიცვა და მუშები შეუდგნენ მუშაობასო.

მთავარი კომიტეტის ფუნქციებზე მოხსენებას აკეთებს მალანია. რაც რუსეთის რკინის გზის ყრილობის მოწვევამდე, მოსკოვში არა ერთხელ აღძრულა კითხვა იმის შესახებ, უნდა ჩაერიონ თუ არა კომიტეტები გზის ამინისტრატიულ და ტეხნიკურ საქმეებში. კომიტეტების ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ საქმეებში ჩარევის მომხრეთ გამოდიოდენ ბოლშევიკები და მემარცხენე ესერები. ყრილობამ დაადგინა უარი სთქვას ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ საქმეებში ჩარევაზე. მოსკოვში მიღებულ წესდებით სარგებლობდა ჩვენი კავშირიც. წარსულ წლის დეკემბერში ჩვენი ქვეყნის ინტერესები თხოულობდა კავშირს გაეფართოვებინა თავისი ფუნქციები. ახლა, როცა სოციალისტური მთავრობა არის, რომელსაც დემოკრატია ენდობა, კომიტეტი ამბობს უარს ადმინისტრატიულ საქმეებზე. ფიცხელაურის დანიშვნამ გამოიწვია გაუგებრობა. ზოგიერთნი ამბობენ, რომ ჯერ არ დამდგარა დრო, რომ კავშირმა ხელი აიღოს ადმინისტრატიულ ფუნქციებზე. ფიცხელაურის დანიშვნა გვიკარნახა ვიწრო ტეხნიკურმა და ადმინისტრატიულმა შეხედულებამ. ლიანდაგის ადმინისტრაციას არა ერთხელ განუცხადებია, რომ მას არ შეუძლია გამოსცეს კატეგორიული ბრძანებები, რადგანაც მის მოვალეობაში ერევიან პროფესიონალური ორგანიზაციები.

ფიცხელაურის დანიშვნა გამოწვეული იყო გზაზე არსებულ არევ დარევით. არევა კი გამოწვეული იყო არა მარტო სათბობ მასალის ნაკლებობით, არამედ—სხვა ობიექტიურ პირობებითაც, სახელდობრ, ადმინისტრ ციის დაუდევრობით. ფიცხელაური დროებით არის დანიშნული მთავრობის მიერ. მას ბრალსა სდებენ რეაქციონერობაში, მაგრამ ერთი კვირის პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ეს შიში არ გამართლდა, მისდამი ნდობა მართლდება. მოძრაობა ნორმალურ კალაპოტში დგება, აგენტები თავიანთ მოვალეობას სინდისიერად ასრულებენ. ფიცხელაურს არ მოუხმარია ბოროტათ თავის უფლება. მან დაითხოვა სულ ერთი აგენტი და ისიც გამოძიებაშია. თუ ფიცხელაურს წარსულში მიუძღვის რაიმე ცოდვა, საჭიროა ამისი თქმა და დასაბუთება. სამინისტრომ კი ჯერ ჯერობით იცის, რომ ის საქმის კარგათ აღმსრულებელი მოხელეა.

გზების უფროსი კანდელაკი ამბობს: ფაქტიურათ გზის მმართველობა მინდობილი აქვს ფიცხელაურს, როგორ შეიძლებოდა გზების უფროსის დანიშვნა ისე, რომ ჩემთვის, როგორც გზის უფროსისთვის არ ეკითხნათო. მეტის გაკეთება დღევანდელ პირობებში, რაც ჩვენ გავაკეთეთ შეუძლებელია. როცა დავიკავე გზის უფროსის ალაგი, სამმართველოში ანგარიშები არეული იყო, არ იყო არავითარი სისტემა, აუარებელი აგენტები იყვნენ მიწერილნი სამმართველოში და არავინ კი არაფერს აკეთებდა. საქმის ჩქარა მოწყობა შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ცოდნა, გამოცდილება პრაქტიკა. საქმის ნორმალურ მსვლელობას ხელი შეუშალა აგრეთვე შტატების შემცირებამ. მინისტრის უკანასკნელმა დეპეშამ წაართვა მე ყოველგვარი უფლება გზათა უფროსისა და ამავე დროს დამტოვა პასუხისმგებელათო.

ი. მალანია. კანდელაკის უნდობლობის შესახებ ლაპარაკი არ ყოფილა სამინისტროში. ჩვენ ვიცით როგორ მძიმე პირობებში აილო გზა მან.

კაპანაძე. კავშირს ადმინისტრატიული ფუნქციები უნდა ჩამოვაშოროთ. ორატორი ცუდს არაფერს ხედავს ფიცხელაურის დანიშვნაში.

ყრილობა ადგენს მხოლოდ ოთხ ორატორს მიეცეს სიტყვის ნება ორი „დიქტატორის" და მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯების დამცველს, ორ მოწინააღმდეგეს. ამხ. კარიკინი და ვანკავა მომხრე არიან მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებისა. გნოევი და ათაბეგი წინააღმდეგ აზრს იცავენ. გნოევის აზრით, პოლიტიკური ჰორიზონტი ჯერ კიდევ ღრუბლით არის მოცული, ამიტომ ჯერ ადრეა, რომ კომიტეტმა ხელი აიღოს ძალა უფლებებზეო. ათაბეგი არ ეთანხმება მათ, ვინც კომიტეტებს მარტო პროფესიონალურ ორგანიზაციების როლს აკისრებს.

კამათის შეწყვეტის შემდეგ ზოგიერთი დელეგატები შეკითხვას იძლევიან. ერთი დელეგატთაგანი კითხულობს: მაშ თუ კომიტეტებს ყოველივე ადმინისტრატიულ ფუნქციებს ართმევენ, მაშინ ჩვენ რა უნდა გავაკეთოთო? ბევრს ეინტერესება თუ ჩვენ დემოკრატიული მთავრობა გვყავს და მას ვენდობით, რაღათ გვინდა პროფესიონალური საბჭოები, ვის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთო.

ირაკლი წერეთელი. აქ ამხანაგების შეკითხვებიდან სჩანს, რომ ზოგიერთს არა აქვთ წარმოდგენა პროფესიონალურ საბჭოებზე და აწუხებთ მათ ის აზრი, რომ აქ რაკი კომიტეტები ადმინისტრატიულ ფუნქციებიდან განთავისუფლდებიან, მათ სახელმწიფოს აღმაშენებლობითი მუშაობაში არავითარი მონაწილეობის მიღება არ შეეძლებათო. ამნაირი შეკითხვები გაუგებრობაზე არის აშენებული. გარდა პროფესიონალურ საბჭოებისა მუშებს აქვთ პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც არიან სულის ჩამდგმელნი და აგრეთვე კანტროლის გამწევი მთავრობისა. თუ მთავრობა შესცდა, განა თქვენ თქვენი პარტიული ორგანიზაციებით არა გაქვთ შეძლება იქონიოთ გავლენა მთავრობაზე? ვინ აირჩია მთავრობა თუ არა თქვენ და თქვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ვის ეყრდნობა მთავრობა თუ არა პარტიებს. ვისგან არის შემდგარი უმეტესობა ეროვნულ საბჭოსი თუ არა თქვენ მიერ არჩეულ დეპუტატებისგან: თქვენ შეგიძლიანთ, როცა კი მოინდომებთ, შესცვალოთ ისინი ძალა-უფლება თქვენს ხელშია და თუ თქვენ განიზრახავთ პოლიტიკურ უფლებების განხორციელებას რკინის გზის კომიტეტის საშვალებით, თუ თქვენ მოინდომებთ, მთელი რკინის გზა, რომელიც არა მარტო თქვენ გეკუთვნით, არამედ—მთელ ხალხს, თქვენ ხელში იყოს: თუ ფულის დამბეჭდი ფულს დაეპატრონება და ყოველ დარგში მუშები, რასაც ღამუშავებენ თვითონვე იქნებიან ბატონ პატრონი. აი აქედან იქნება დასაწყისი ანარქიისა, ეს იქნება მიბაძვა ბოლშევიკებისა. ბოლშევიკებმა ასეთი გზა აირჩიეს—ისინი თავიანთ გამარჯვებას პროფესიონალურ საბჭოებზე ამყარებდენ. რკინის გზა რკინის გზელებს ჩააბარეს, მისი შემოსავალი მარტო რკინის გზის მუშებს ხმარდება, ფოსტა ფოსტის მოხელეებისათვის და სხვ. აი ასეთმა გზამ დაღუპა რუსეთი. ამხანაგებო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ გაქვთ ძლიერი ორგანიზაციები, რომელიც არის სული და გული ჩვენი მთავრობისა, ურომლისოთაც ჩვენი მთავრობა ერთ წუთსაც ვერ დარჩება თავის ადგილზე. დემოკრატიის ნების გამომხატველი პოლიტიკური ორგანიზაციებია. ჩამოაშორეთ ისინი მთავრობას და ჟორდანია კი არა კარლ-მარქსი და ფრ. ენგელსიც რომ აღსდგენ, ისინიც ვერ გაჩერდებიან მთავრობაში. ბევრნი თქვენგანი გაიძახიან, როცა მთავრობა ჩვენია, რაღად გვინდა პროფესიონალური ორგანიზაციები, ვის წინააღმდეგ უნდა იბრძოლოს ჩვენ საბჭომო? მას აქეთ, რაც ლენინი ჩადგა რუსეთის სათავეში მან საქვეყნოთ აღიარა, რომ სოციალიზმს დავამყარებთ და ბრძოლა პროფესიონალურ საბჭოებისა კაპიტალის წინააღმდეგ მოისპო. თქმა ერთი იყო, საქმე კი სხვა. კაპიტალი დარჩა უფრო მძარცველათ, მხოლოდ სოციალიზმის ქურქში იყო გახვეული. ჩვენი მთავრობა პირდაპირ გეუბნებათ: მე სასწაულს ვერ მოვახდენ, სოციალიზმს ვერ დაგიმყარებთ. მუშათა კლასს კი ესაჭიროება კლასთა ბრძოლა. შესაძლებელია ხვალ მართვა გამგეობის სათავეში სხვა მთავრობა მოექცეს. საჭიროა თქვენ დარაზმული შეხვდეთ ამას. დღეს მთავრობა არ გადასდგამს ისეთ ნაბიჯს, რომ გაფიცვა დაგჭირდეთ, მაგრამ რომ მთავრობამ გაუწიოს ანგარიში თქვენ მოთხოვნილებებს და სწორე გზით იარონ საჭიროა თქვენი დარაზმვა. მუშათა კლასმა უნდა წამოაყენოს ის, რაც სჭირია მას. იგი ყოველთვის გზის მაჩვენებელი უნდა იყოს და ყოველივე მოძრაობის სათავეში უნდა იდგეს. (ტაში).

ნ. ს. ჩხეიძე. მე მგონია, რომ რუსული ანდაზა „სწავლულის სწავლება მისი გაფუჭებაა" აქ მოსატანია. მე მიხდება გამოსვლა ისეთ ყრილობაზე, სადაც ყველა შეგნებულად უყურებს საქმეს და სადაც ყოველივე კითხვა ნათელია. რაღაც გაუგებრობას ვაწერ იმ შეკითხვებს, რომელიც აქ ამხანაგებმა წამოუყენეს.

თუ პროფესიონალური კავშირები შეუდგებიან თავიანთ პირდაპირ მოვალეობის შესრულებას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რევოლუცია თითქოს გათავებულია და შესაძლებელია სახლში დასასვენებლათ წავიდეთ. არც ის არის მართალი, ვინც ამბობს, რომ ჩვენ კიდევ უნდა გავაღრმავოთ რევოლუცია; ამაზე მეტი გაღრმავება ჩვენ არ შეგვიძლიან. ჩვენი მიზანია გავამაგროთ ის, რაც გავაღრმავეთ. რევოლუციის გაღრმავება მაშინ შეიძლება, როცა საერთაშორისო პროლეტარიატი ახმაურდება და დაიძრება. ეხლა კი გამაგრების პროცესს უნდა მოვანდომოთ მთელი ჩვენი ძალღონე. მე მესმის შიში ამხანაგებისა. ჩვენში იყვნენ ეგრედ წოდებული აზნაურები, მაძიებელნი, რომლებსაც ყველგან ელანდებოდათ, რომ მათზე ლაპარაკობენ, მათ შეურაცხყოფას აყენებენ და სხვა. ჩვენ არც ნამდვილი აზნაურები ვართ და არც აზნაურობის მაძიებელნი. ჩვენ მოქალაქენი ვართ და ასეთი იჭვიანობა ჩვენ არ შეგვფერის. ჩვენი მიზანია სახელმწიფოს შექმნა და აქ უნდა მოხდეს ფუნქციათა დაყოფა და შრომის განაწილება. თუ გერმანია ამ ომში იმარჯვებს, ეს იმიტომ, რომ მას ჰქონდა მძლავრი პროფესიონალური ორგანიზაციები, მაგრამ ამავე დროს გერმანიაში არაა სადავო გზების მმართველობა. შეიძლება პრივილეგიებისთვის ბრძოლა, მაგრამ ფუნქციების განსაზღვრა საჭიროა. არ შეიძლება მარტო პროფესიონალური საბჭოებში მუშაობა და საერთო სახელმწიფოებრივი საქმეების დავიწყება, მაგრამ არ შეიძლება დავიწყებაც იმისი, რომ პროფესიონალური მუშაობაც სახელმწიფოებრივი საქმეა.

მალანია უპასუხებს ათაბეგს და ამბობს, რომ ფიცხელაურის დანიშვნა არ ნიშნავს ახალ სისტემის შემოღებას გზის მმართველობაში. ფიცხელაური დროებითაა დანიშნული, მას განსაზღვრული გაკვეთილი აქვს მიცემული, და მის შესრულების შემდეგ ის კვლავ დაუბრუნდება გზათა სამინისტროს. ყრილობა კამათის დასასრულს იღებს შემდეგ რეზოლიუციას: „საქართველოს სახაზინო გზების მოსამსახურეთა და მუშათა დელეგატების პირველმა ყრილობამ, განიხილა რა დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით კითხვა პროფესიონალურ ორგანიზაციების უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, დაადგინა, რომ ადმინისტრატიულ ტეხნიკური ფუნქციები, რომელიც განსაკუთრებულ პოლიტიკურ მომენტის მიერ შექმნილ პირობების ამდენხანს იყო რკინის გზელთა კავშირის ხელში, სავსებით გადაეცეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პასუხისმგებელ მთავრობას, შეინახოს რა პროფესიონალურ კავშირებს მოსამსახურეთა და მუშათა ინტერესების დაცვის უფლება, რაიც განსაზღვრული იქნება ყრილობის მიერ მიღებულ წესდებაში".

20 და 21 სექტემბრის სხდომები.

ეს სხდომები მოხმარდა რკინის გზის პროფესიონალურ კავშირის წესდების განხილვას. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს ი. წერეთელმა და გ. ერაძემ.

განსაკუთრებით საკამათო შეიქნა წესდების ის მუხლი, [illegible] მუშების მიღება-დათხოვნის [illegible] შრომის მინისტრის ამხანაგი [illegible] ტკიცებს, რომ ეს მუხლი არ უნდა იქნეს წესდებაში შეტანილი, რადგანაც მუშების მიღება დათხოვა სახელმწიფოს საქმეა, წესდება კი სავალდებულოა და კანონი მხოლოდ კავშირის წევრთათვის და თუ სახელმწიფომ სათანადო კანონი არ გამოსცა, მაშინ ეს მუხლი ცხოვრებაში მაინც არ განხორციელდება.

ამხ. ერაძე დიდხანს ჩერდება ამ საკითხის ისტორიაზე და ამბობს, რომ წინეთ მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის საქმე სავსებით მწარმოებლის ხელში იყო, რომელნიც, როგორც წარმოების უმაღლესი ადმინისტრაცია, სარგებლობდენ ამ უფლებებით და ყოველნაირად ავიწროებდენ და იმონებდენ მუშებს. უკანასკნელნი კი ხმას არ იღებდენ, რადგანაც ეშინოდათ დათხოვნისა ადგილიდან. 1905 წ. მუშებმა ხმა აღიმაღლეს ამ უსამართლობის და უკანონობის წინააღმდეგ და მოითხოვეს მუშა-მოსამსახურეთა მიღება დათხოვნის უფლება მათ ხელში გადასულიყო. მაგრამ მათ იმედები არ გაუმართლდათ, ვინაიდან დაიბადა მეორე უბედურება. შეიქმნა საქარხნო კომიტეტები, რომელსაც არევ დარევა შეჰქონდა მუშებში და უკანასკნელნი ანგარიშს არ უწევდენ წარმოების პატრონის მოთხოვნას წარმოების შემცირების საჭიროების შესახებ, როცა მწარმოებელს უნდოდა წარმოების შემცირება საჭიროების მიხედვით. ამრიგათ მუშების კომიტეტი ერეოდენ სხვის საკუთრებაში, მეტის მეტად საგრძნობი და ცუდ ხასიათს ღებდა ეს, როცა ასეთი კომიტეტები თავის თავზე იღებდენ თვითმოქმედების ინიციატივას.

შრომის სამინისტროს განზრახული აქვს ეს საკითხი სხვანაირად გადაჭრას. მასთან ერთის მხრით დაცული უნდა იქნეს მუშების ინტერესი მწარმოებელთა ბოროტმოქმედებისაგან, მეორეს მხრით მუშები არ უნდა იქნან დაშვებულნი სხვისი ქონების წარმოების მოწესრიგებაში და გამგებლობაში. ამ ჟამათ მუშავდება კანონ-პროექტი, რომლის ძალით თვითოეული წარმოებელი ვალდებული იქნება ანგარიში გაუწიოს შრომის ბირჟას და მას საქმე ექნება არა ცალ-ცალკე მუშებთან, არამედ—ბირჟასთან, რომელიც გაუგზავნის მას ამა თუ იმ დარგში სპეციალისტებს და დაუნიშნავს გამოსაცდელად განსაზღვრულ დროს. თუ მწარმოებელმა მუშა დაიწუნა, ხოლო უკანასკნელმა ეს უსამართლოდ აღიარა, მაშინ საქმე გასარჩევათ და სათანადო დასკვნის გასაკეთებლად გადაეცემა სამრეწველო სასამართლოს. გარდა ამისა, მსხვილი პროფესიონალურ კავშირებს შეუძლიანთ წესდებაში ჰქონდეთ ისეთი მუხლი, რომლის ძალით მოცემულ წარმოების მუშები ვალდებულნი იქნებიან ჩაეწერონ მის მოსამსახურეთა კავშირში; ეს გარემოება თავისთავად ხელს შეუწყობს, რომ ცუდი ელემენტები არ მოხვდენ იმ წრეში. ეს კანონ პროექტი ეხებოდეს იქნება არა მარტო იმ პირთ, რომელნიც ფიზიკურ შრომას ეწევიან, არამედ იმ პირთაც, რომელნიც გონებრივ შრომას ეწევიან. ამხანაგი ერაძე უწევს რა ანგარიშს იმ დებულებებს, რომელნიც ამ მუხლის წესდებაში დატოვების შესახებ წამოაყენეს წინა ორატორებმა, ეთანხმება იმ აზრს, რომ ეს მუხლი წესდებაში დარჩეს, მაგრამ არა იმ ფორმით, რომლითაც ის წამოყენებულია, არამედ მას უნდა მიეცეს ფორმა კოლექტიური ხელშეკრულობისა, რომელიც დადებულ უნდა იქნას მუშების და რკინის გზის ადმინისტრაციის შორის. ეს შესწორება მიღებულ იქნა.

ნაკლებ კამათს არ იწვევს წესდების ის მუხლი, სადაც ლაპარაკია კავშირის შემადგენლობის შესახებ. ორატორთა ნაწილი გამოსთქვამს სურვილს და მოითხოვს კავშირში მიღებულ იქნან წევრებათ ადმინისტრატიული პირნი, მეორე ნაწილი ორატორთა ამის წინააღმდეგია. ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინეს კავშირის წევრებათ მიღებულ იქნას რკინის გზის ადმინისტრაცია.

შემდეგ კამათს იწვევს ის გარემოება, რომ გამორკვეული არ არის, ვინ ითვლებოდეს უმაღლეს, და ვინ დაბალ ადმინისტრაციად. გზების უფროსი ა. კანდელაკი ლაპარაკობს, რომ უმაღლეს ადმინისტრაციად უნდა ჩავთვალოთ ის პირნი, რომელნიც არიან რკინის გზის ეკონომიური ინტერესების პირდაპირი დამცველნი და აღნიშნავს, რომ შეუძლებელია კავშირში არ იქნან მიღებულნი ის პირნი, რომელნიც ითვლებიან ადმინისტრაციად მხოლოდ იმიტომ, რომ მათ დაკისრებული აქვთ რკინის გზებზე ტეხნიკურ განმკარგულებელი როლი და სრულებით არ არიან რკინის გზის ეკონომიური ინტერესების დამცველნი.

ყრილობამ დაადგინა უმაღლესი და დაბალი ადმინისტრაციის ერთმანეთისაგან განსაზღვრა მიანდოს განსაკუთრებულ კომისიას და მიიღო შემდეგ მთელი რიგი წინადადებისა: სახელდობრ: კავშირის წევრთ არ შეუ-

ძლიათ ჩაეწერონ ისეთ კავშირში, რომელთა პოლიტიკა ეწინააღმდეგება რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირის პრინციპებს: კავშირში არ უნდა იქნან მიღებულნი ისეთი პირნი, რომელთაც ზნეობრივი სახე ცუდი აქვთ.

სარევიზიო კომისიაში შეიძლება არჩეულ იქნან არა ყრილობის წევრნიც საქმის სასარგებლოდ.

გ. ერაძის წინადადების თანახმად ყრილობა იღებს შემდეგ დამატებას გაფიცვის გატარების შესახებ: გაფიცვას სწყვეტს კავშირი და ახორციელებს იმ შემთხვევაში, თუ მოსამსახურეთა ორი მესამედი მას ხმას აძლევს. ამასთან ადმინისტრაციასთან ხელშეკრულებაში შეტანილ უნდა იქნას პირობა, რომ გაფიცვის დროს მუშებს არ უნდა წაართვან ბინა, განათება, გათბობა და წყლის ხმარების უფლება. და სხვ. ხელშეკრულობას ისეთი ფორმა უნდა მიეცეს, რომ მას იურიდიული ძალა დარჩეს ყოველგვარ პოლიტიკურ სიტუაციის დროს.

მუშა მოსამსახურეთა მიღება-დათხოვის უფლება ექნება მთავრობას, მაგრამ კავშირს რჩება უფლება მოითხოვოს დათხოვა ისეთი მუშების, რომელნიც შენიშნულ იქნებიან შრომის დაცვის კანონის და ხელშეკრულობის დარღვევაში და განსაკუთრებით მოსამსახურეთა შეურაცხყოფის გამო მოქმედებით იქნება ეს თუ სიტყვით. ეს ბრალდებები გამორკვეულნი უნდა იქნან მომრიგებელ—კამერის, ანუ მრეწველთა სასამართლოს მიერ, ყველა ამ შესწორებით ყრილობამ წესდება დაამტკიცა.

მეთამბაქოეთა საყურადღებოთ

თფილისში არსებულ საქართველოს მეთამბაქოეთა ბიუროს აუარებელი დეპეშები და წერილები მოსდის საქართველოს ყოველი მხრიდან, რომლებიც გვეკითხებიან, თუ როგორ პირობებშია თამბაქოს გაყიდვის საქმე. ბიურო აცხადებს მეთამბაქოეთა საყურადღებოთ, რომ ბიურო ყოველ ზომას ღებულობს თამბაქოს რაც შეიძლება ადრე მოუნახოს ბაზარი მთავრობის დახმარებით. სხვადასხვა ამხანაგობებისა და კერძო პირებს გარდა გერმანელებსაც უნდათ შეიძინონ საქართველოს ნაწარმოები თამბაქო. მთავრობამ მათ უკანასკნელ ვადათ თუთხმეტი დღე მისცა, რომელიც (ვადა) გადის ამ 5 დღეში. თუ ამ ხნის განმავლობაში გერმანელებმა ვერ შეიძინეს ჩვენი თამბაქო, მაშინ ბიუროს სრული უფლება აქვს თამბაქო იმას მიჰყიდოს, ვისაც მოურიგდება, ხოლო მთავრობაც ვალდებულათ სთვლის თავს მისცეს ბიუროს თამბაქოს გატანის უფლება. აცნობებს რა ბიურო ყველა ამას მეთამბაქოე გლეხებს, სთხოვს მათ ცოტახანს კიდევ იქონიონ მოთმინება და მათი ნაწარმოებიც აუცილებლათ მალე გაიყიდება. ყოველგვარ საქმის გადაწყვეტილებას ბიურო ადგილობრივათ აცნობებს კავშირებს დეპეშით და წერილებით.

მეთამბაქოეთა ბიურო.

ს.-დემ. პარტიაში

ქვემო-ჭალა (ქართლი). 17 სექტემბერს მოხდა ქვემო-ჭალის რაიონის (გორის მაზრა) ს. დ. მ. პ. კოლლექტივის მორიგი კრება. თავმჯდომარეობს ამხ. კოლა კაციაშვილი. დღიურ წესრიგში მიღებულ იქნა შემდეგი: 1) პარტიული კრების მოწვევა 21 სექტემბრისთვის, 2) სკოლაში სწავლის დაწყებისა და მასწავლებლების მოწვევის შესახებ, 3) ანარქია და მასთან ბრძოლა, 4) თექვსმეტ სექტემბრის შემთხვევა და მისი გამომწვევისაგან პასუხის მოთხოვნა და სხვადასხვა საკითხები. რეზოლიუციები: 1) კრებამ აუცილებელ საჭიროთ სცნო 21 სექტემბრისთვის მოწვეულ იქნას რაიონული პარტიული კრება დილითგანვე სოფ. ქვემო ჭალაში ყველა ჩვენი პარტიის წევრების და საწევრო კანდიდატების დასწრებით რაიონული ს. დ. მ. პ. კომიტეტის ასარჩევად. 2) რადგან სწავლა ყველასათვის აუცილებელი საჭირობა და სასწავლო დროც მიმდინარე წელში უკვე დამდგარია, ამისათვის კრება გამოსთქვამს სურვილს: ეთხოვოს გორის სამაზრო სახალხო მასწავლებელთა ფილიალურ განყოფილებას, რომ მან თავს იდვას, დაუყოვნებელი შუამდგომლობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წინაშე, რათა ქვემო ჭალის ორ კლასიან სამინისტრო სასწავლებელში დანიშნულ იქნან მასწავლებლებად შემდეგნი ადგილობრივი თანამოქალაქენი: 1) მასწავლებლად გამგეთ ალექსანდრე ლუკას ძე ფრუიძე, 2) მასწავლებლად თამარა ანტონის ასული გასსიევისა და 3) ხელსაქმის მასწავლებლად მარიამ ალექსის ასული მელაძე, რომელთაც უნდა თავს იდვან მეცადინეობა დაიწყონ დამტკიცებისათანავე. ამ შუამდგომლობის ქ. გორში წარსადგენად არჩეულ იქმნენ კრებიდან: თედო ივანეს ძე ტურდილაძე და ალექსანდრე ეპიფანეს ძე პარკაძე.

შენიშვნა: მასწავლებლად დასახელებულ პირებს ევალებათ აგრეთვე იმაცადინონ მთელი სამოსწავლო წლის განმავლობაში მანამ იმსახურებენ განუწყვეტლად და შეუორგულებლად ახალი საგანმანათლებლო კანონების გეგმით.

4. რადგან საზოგადოებაში ხშირად ხდება ანარქიული, უწესრიგო გამოსვლები და ხელს უშლის დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებას, ამისათვის კრებამ მიიღო შემდეგი: მიეცეს წინადადება ადგილობრივ საზოგადოების და რაიონის კომისრებს, რომ მათ მიერ სასტიკი ზომები იქნას ხოლმე მიღებული ასეთების საწინააღმდეგოთ და განსაკუთრებითი წინადადება მიეცეს ს. ქვემო ჭალის საზოგადოების კომისარს ალ. პარკაძეს, რომ მან დაუყონებლივ შეადგინოს საბრალმდებლო ოქმი ქვემო-ჭალის მოქალაქე მიხა გიგიაშვილზე და წარადგინოს გორის სამაზრო სარევოლიუციო ტრიბუნალთან ბრალდებულთან ერთად, რადგან ირკვევა, რომ მას დიდი თანამშრომლობა — მოღვაწეობა მიუძღვის ანარქიულ გამოსვლებში, რითაც ირღვევა საზოგადო წესრიგი და ხელი ეშლება ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკის კანონების წინსვლას. ამით გამორკვეულია მეოთხე საკითხიც.

5 მუხლი ა) მილიციონერების შესახებ: კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი: რადგან ადგილობრივი მილიციონერები (ზოგიერთნი) თვითოეულად ითრობიან და ახდენენ უწესოებას საზოგადოებაში და იმავე დროს არ ღებულობენ არავის რჩევა-დარიგებას ამ შემთხვევაში მიეცეს წინადადება ადგილობრივ სარაიონო და საზოგადოების კომისრებს და მილიციის უფროსს, რომ ასეთი არა სასურველობის მომქმედნი მილიციონერთაგანნი დაუყონებლივ იქნან სამსახურიდან გამორიცხულნი და შესაფერის პასუხისგებაში მიცემულნი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გამოცემული კანონმდებლობის წინაშე, რადგან ისინი უფრო წესრიგის დამცველნი და ფხიზელნი უნდა იყვენ და მათ მიერ წესრიგის დარღვევა კი ყოვლად დაუშვებელი და შეუწყნარებელია. ბ) ტყის შესახებ: განხილულ იქნა და კანონიერად ცნობილი ქვემო ჭალის რაიონის საადგილ-მამულო კომიტეტის მიერ 14 მკათათვეს გამომუშავებული ტყის შესახებ დებულების ოქმი დროებით. გ) დადგენილებანი ამა დღის კრებისა გამოცხადებულ იქნას გაზეთ „ერთობა"-ში. ამით კრება დახურულ იქნა 21 სექტემბრამდე.

კრების დავალებით ალექსანდრე ფრუიძე

თიანეთში და მის მაზრაში აღდგენილი იქნა სოც.-დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციები შემდეგ სოფლებში: თიანეთში, ნაქალაქარში და ნადოკრალში. მისამართი: თიანეთში ილიკო თამახასძე ფიცხელაშვილს, თედო ზაქარას ძე აბრამიშვილს, მიხელ დავითის ძე სისაურს, ნაქალაქარ ნიკო ქუმსიაშვილს, გიორგი აფციაურს და დავით მეჯლუმოვს. სოფელ ნოდიკრალში ანდრია ბუჯიაშვილსა, ალექსი ციცხალიშვილს და ნიკო ბუჯიაშვილსა შეუძლიან მსურველს წევრათ ჩაწერა თიანეთში და ერწოში.

X.

მუშათა შორის

თფილისის რკინის გზის მთავარი სახელოსნოს სამჭედლო ცეხი.

ხსენებულ დარგში მუშაობს დაახლოვებით ორას ოთხმოცი მუშა, და ასეთი მნიშვნელოვანი რიცხვი სრულიად შორსა სდგას პარტიულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ თვითშეგნებისაგან, რაც შედეგია ერთის მხრივ მოწინავე ინტელიგენტურ ძალების უყურადღებობის. საარჩევნო ყუთთან, რომელიც მოხდა სარკინისგზო ყრილობისათვის დელეგატების არჩევის დროს ამა წლის 1918, 13 და 14 ენკენისთვეს, სადაც ეგრეთ წოდებულმა „ბალშევიკებმა" მიიღო 15 ხმით მეტი, ეს არასასურველი მოვლენაა, სამჭედლო ცეხის მუშებს მოვუწოდებთ მეტი სიფხიზლისაკენ და ორგანიზაციული მუშაობისაკენ, პოლიტიკურ და იდეიურ თვითშემეცნებისაკენ.

ამ დღეებში მოხდა ამ ცეხის ძირითად ორგანიზაციების არჩევნები, რეორგანიზაცია, ხელმძღვანელი მცირე კოლლექტივის ასარჩევად. აირჩიეს სამი კაცი: შუბიტიძე, ს. სურმავა და სიმონ კვინიხიძე. კრებამ მომხსენებელ სურმავას წინადადებით გამოიწერა გაზეთი „ერთობა", სხვათა შორის პარტიის საწევრო გადასახადის გადიდებას კრება თანხმობით შეხვდა და იმედია შემდეგ რეგულიარულათ იწარმოებს იგი.

ცეხის წარმომადგენელი ს. სურმავა.

პროვინცია

ს. რუისი (ქართლი). 15 ენკენისთვეს შესდგა საერთო ყრილობა ს. რუისის საზოგადოებისა, რომელსაც დაესწრენ ს. სასირეთის, ურბნისის და ბებნისის მცხოვრებლები. ყრილობას ხელმძღვანელობდენ ამხ. კინწურაშვილი, გ. ფოფხაძე, გ. ბუზიაშვილი, ა. არაგიაშვილი; ს. მიქელაძე, ი. მამაცაშვილი, მ. მეფარიშვილი, ი. ბოლქვაძე და სხვები. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა გ. ბუზიაშვილი, მდივნათ ი. მამაცაშვილი. მომენტის შესახებ სიტყვას იღებენ ამხ. გ. ფოფხაძე და კინწურაშვილი, ორთავენი დიდხანს ლაპარაკობენ დღევანდელ მთავრობაზე, მის მუშაობაზე, ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე, სახალხო გვარდიაზე, მობილიზაციაზე, ბალშევიკურ რუსეთზე და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. მოხსენების შემდეგ ყრილობა იღებს შემდეგ რეზოლიუციას: ვიღებთ რა დღევანდელ პირობებში მთავრობის მოქმედებას, რომ ყოველი დაკვირვებულის ნაბიჯის გადადგმით, მთავრობა ცდილობს მშრომელი ხალხის დემოკრატიის ინტერესების დაცვას, ჩვენ ამ ყრილობაზე შეკრებილნი რუისის საზოგადოების მცხოვრებლები, ვუცხადებთ სრულს ნდობას და აღვუთქვამთ ჩვენს დახმარებას ანარქიის ჩაქრობაში, რათა მან შესძლოს ჩვენი ცხოვრების, თავისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება და რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცება.

ამის შემდეგ ყრილობამ გაარჩია სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვები და აირჩია შესაფერი კომისიები. ყრილობამ აღნიშნა, რომ ცოტა ხნის მიჩუმების შემდეგ ნაძირალებმა განაახლეს მოქმედება. ყრილობამ აირჩია სამი კაცისაგან კომისია განსაკუთრებითი უფლებებით აღჭურვილი, მათ მიეხდო თვალყურის დევნება და თავიანთ განაჩენით დასჯა. ყრილობამ უმოქმედობის გამო გადაყენებულათ გამოაცხადა აღმასრულებელი კომიტეტის მსაჯულები, და აირჩია ახლები. აგრეთვე აღნიშნა გულცივობა თავიანთ მოვალეობის არ ასრულებაში გლეხთა საბჭოს წევრებისა და გამოაცხადეს ის დათხოვილათ. იმათ ადგილზე არჩეულ იქნენ ახლები. სამიწათმოქმედო კომისიის წევრებიც იქნენ დაცვლილნი და აირჩა ახლები.

ქარელის კომისარი შეფარიშვილი, რამდენიმე სიტყვას ამბობს ტყის შესახებ და აძლევს ყრილობას წინადადება, აირჩიონ კაცები. კერძოთ გლეხკაცებში გაისმის უკმაყოფილება, ჩვენ გვეგონა დღევანდელ ყრილობაზე მაინც გავიგებდით რასმე გადაწყვეტილსო და კიდევ მოგვატყუესო. სამართლიანიც არის ეს საყვედური, რუისში არ არიან დიდი მემამულეები და მხოლოდ და მხოლოდ მოელოდნენ შეღავათიან პირობებში ტყით სარგებლობას: დღეს ცეცხლიანით ტყეს დაეპატრონენ ოსები, ვინც მიდიან, ყველას სცემენ და სძარცვავენ. გაძარცულები არიან რუისელები 3000—4000 მან. ღირებულების; წაართვეს ხარები, ჯაჭვები, ცულები, სამტები და ფარაჯები: 5 ენკენისთვეს დასცემოდნენ და ძალზე ეცემათ ი. მამაცაშვილისათვის მამითურთ და სუყველა ამას ქარელის რაიონული კომისარი ისე ცივად უყურებს—გეგონება ეს იმას არ შეეხებოდეს. ყრილობამ აირჩია ორი კაცი და დაავალა ეს საქმე გააკეთეთ და წადით იქ, საცა გინდოდეთ, მხოლოდ საქმე მოაგვარეთო.

სხვათა შორის, კრებიდან ისმის ხმები, მღვდელ თორქაძის შესახებ, რომ ის პირნათლად არ ასრულებს თავის მოვალეობასო. ეს საქმე ყრილობამ დაავალა გლეხთა საბჭოს, რათა მან მოიყვანოს ცნობაში მღვდლის შესავალ-გასავალი და მოაწესრიგოს საქმე, უკიდურეს შემთხვევაში, მოიწვიონ სხვა მღვდელი. მოწინავე ჯგუფს შეაქვს წინადადება მოწვეულ იქნას რუისში ექიმი, ფერშალი და ბებია ქალი, თან მოეწყოს სავათმყოფო 10 საწოლით. სუყველაფერი ეს სოფელს უჯდება 3 მან. კომლზე თვეში. ხალხი ამას ბევრობს და გაიძახიან; სოფელში ნახევარი მშიერია და ძალზე ღარიბი, ვერ შევძლებთ მთელ ხარჯის აღებას ჩვენს კისერზეო, კრებამ დაადგინა: ჩამოტარდეს სოფელში სია და რომლებიც ამ სიაზე ხელ მოწერილები აღმოჩნდებიან, მხოლოდ იმათ მიეცემათ დახმარება. შტატი ექიმებისა იქნება მოწვეული შეძლების დაგვარათ. შემდეგ კითხვა დგება რუისის კომისარზე, რადგანაც უმოქმედობა ემჩნევა, გადაეყენოთო, მაგრამ შემოდის წინადადება, რომ არ არის დიდი ხანი, რაც ავირჩიეთ და ჯერ კიდევ დარჩესო. კომისარი რჩება ძველი. ირჩევენ კომისარის თანაშემწეთ რაჟდენ ნასყიდაშვილს.

ამხ. ი. ბოლქვაძე, მიწათ-მზომელი კომისიის თავმჯდომარე, აძლევს კრებას წინადადებას, აირჩიონ უბან-უბან, მიწების ჩამომრთმევ კომისიაში სამუშაოდ, სინდისიერი უფრო ღარიბი და უმიწო გლეხები, რომელიც კომისიას გაუწევს დახმარებას ყოველგვარი ცნობების მიცემით. ასეთები არჩეული იქნენ ამ ყრილობაზედვე. ამით დამთავრდა კრება. მე გავიგე, რომ ამ სოფელში ამხ. მოუწყვიათ ს. დ. მ. პ. ორგანიზაცია, მეტი მუშაობა სოფლად, ხშირი კრებები კარგი იქნებოდა, რომ თვეში ერთხელ ან ორჯელ წაეკითხოდათ ლექციები სხვადასხვა სამეურნეო ან გლეხის შესაფერ თემაზე. სოფლის ხალხი ეხლა თანდათან დაინტერესა ცხოვრებამ და მოდის კრებაზე, ამათ სჭირიათ წინამძღოლი, შეკავშირება ადვილია. მიაწოდეთ ვისაც რა შეგიძლიანთ, სასოფლო მდაბიო ენაზე დაწერილი ბროშურები, გაზეთები, ჟურნალები და სხვა და როდესაც ის თქვენთან შეკავშირდება აღარ ჩამოგშორდებათ სიკვდილამდე.

დამსწრე.

წერილი რედ. მიმართ

ზოგიერთი პირები ხმებს ავრცელებენ, ვითომც მე მიმეთვისებიოს ქართული უნივერსიტეტის თუ თეატრის სასარგებლოდ შეგროვილი ფული. ამის საწინააღმდეგო ცნობა იყო მოთავსებული გაზ.: „ს. ფ." და „ალიონის" 1918 წლის იანვრის ნომერში. მე ისევ საჯაროდ ვაცხადებ, რომ ეს საძაგელი ჭორია და მეტი არაფერი. დასამტკიცებლათ ამისა მე ურდგენ პატივცემულ გაზეთ „ერთობის" რედაქციას ორ კვიტანციას 2068 მანეთისას,*) რომელი თანხაც თავის დროზე წარედგინა გაზ. „სახ. ფურც." და იმედი მაქვს ამას დაადასტურებს, რითაც ერთხელ და სამუდამოდ ბურთი ჩაეჩრება პირში იმათ, ვისაც დიდი ლაპარაკი უყვარს. ამ ფულიდან 568 მანეთი შეგროვილი იყო თფილისის პირველ პრაპორჩიკების სკოლაში და 1500 მან. ბერძენთა შორის არდასაში (ოსმალეთში).

პატივისცემით პორუჩიკი
თომა ჩიქვანაია.

ცნობები

ხალამპრე ლევანტის ძე ჩიტაიშვილი მსახურებდა ბაქოში «Общества Кавказъ Меркурій и Восточная ж.-дор. пристань" იანვრის შემდეგ არაფერი ვიცი, თუ რა ბედი ეწია მას. ვთხოვ ყველას, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, მაცნობონ ქალაქ ოზურგეთში ნიკო ლევანტის ძე ჩიტაიშვილს.

---

*) პორ. ჩიქვანაიამ წარმოადგინა ამ წერილთან ერთად ორი კვიტანცია—ერთი ფოსტის 68 მან. „სახალხო ფურცლის" სახელობაზე, მეორე 2 ათასი მანეთისა „ს. ფ." კანტორის გამგის მოლრაძის მიერ მიცემული. რედ.

გამოვიდა და იყიდება
უნივერსიტეტის
და თეატრის
5.000.000 მანეთის
ლატარიის ბილეთები.
ბილეთი ღირს 25 მანეთი.
პირველი მოგება
100.000 მანეთია.
ბილეთები იყიდება იქ, საცა გამოცხადებულია. (60—8)

საჩქაროდ იყიდება
ავტომობილი, ახალი პიანინო, რბილი ავეჯეულობა, დასაშალი სარკის შკაფი, დურგლისა და ზეინკლის იარაღები და სხვა საოჯახო ნივთები. იკითხეთ: ჩერქეზიშვილის და სტრელკოვის კუთხე, № 77—2, ეზოში.

იყიდება სახლი, რომელიც შესდგება 2 ოთახისაგან, სამზარეულოსა და გალერეისაგან, აქვე აქვს სარდაფი. მისამართი: დიდუბე, მე-12 უბანი, ნოვო-პროექტიროვანი ქუჩა, № 16. იკითხეთ ონისიმე ჯავახიძე. მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დილის 6 9 საათ. საღამოს 2 - 6 საათამდე. წყალი ეზოშია.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53. (24—21)

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებათა, სქესობრივ და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ქალ. ექიმი რ. ბ. ზიმლო-ხახაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—74

ექ. დიასამიძემ განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ № 15 ტელ. 18—03.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლლოს" ახლო). მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი დ. ჯავახიშვილი
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

კბილის ექიმი
ნესტორ [illegible]
[illegible]
მისამართი: ჩერქეზიშვილის ქუჩა, №

ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძ
იღებს სპეციალურად—მალარიით (
ბა) და მისი შედეგებით დასნეულებ
სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფ
ტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნ
ლებით ავათმყოფთ ყოველ დღე დი
11—12 საათამდე და საღამოთი 6
საათამდე. ელექტრიზაცია. მისამარ
უდელნი ქ. № 14.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ სღ
6—8 საათამდე კვირა დღის გარდა,
სამართი: დიდი მთავრის ქ. № 57;
ცერთა ეკონომიური საზ. შენობის
დაპირ, სახ. სანიშვილისა. ტელ. № 5

ექიმი
გ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილ
მთავარი თვალის ჰოსპიტლისა და
ნევის უნივერსიტეტის კლინიკის
თვალის ავადმყოფობან
ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—
საათამდე და 5—8 საათამდ. ნიკოლ
ზის ქუჩა, № 32.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანც
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფე
მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა
გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელ
ტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა
წამლობა X სხივებით დიდი სალ
იდი და არსევალის ტოკით ფილტვ
გულის და სხვა შინაგანი ავადმყო
ბისათვის. ყოველ დღე დილის 9—1
ათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბ
თოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

თფ. აღმ. კომიტეტის საგანგებო რაზმ
აცხადებს ამხანაგებისა და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საყურად
ბოთ, რომ ამ რაზმის ბეჭედი, რომელსაც რუსულათ შემდეგი წარწერა ქონ
საგანგებო რაზმი თფ. მ. და ჯ. დეპ. აღმ. კომიტეტისა, და რომელიც ქვერ
ასკერებთან შეტაკების დროს დაიკარგა, ყოველივე ბოროტმოქმედების თავი
ასაცილებლათ ეს ბეჭედი 25 აგვისტოდან რაზმის მიერ აღიარებულია გაუქ
ბულად. (1—

თფ. ქალთა მეორე გიმნაზიაში
იხსნება ქართული კლასები: I, II, III და IV. აგრეთვე დაბალი და მაღალი გ
ყოფილება. ამ ზემო მოხსენებულ კლასებში თხოვნების მიღება გრძელდება.

განცხადება
ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება 2
სექტემბრიდან (ახალი სტილით), ხოლო რეგულიარული მეცადინეობა კი 1 ოქ
მბრიდან. დირექტორის მოადგილე ქ. ნანეიშვი

განცხადება
უნტერ აფიცრები და ეფრეიტორები, რომლებსაც სურთ განაგრძონ სამსა
რი მანგლისის მეორე სანაპირო ლაშქარში, მიუხედავად ეროვნებისა შეუძლი
ჩაეწერონ ზემოხსენებულ ნაწილში დილის 9—2 საათამდე. ჯამაგირი თვეში 1
მანეთი და ამის გარდა ყველა ის, რაც სამსახურით ეკუთვნის ჯარისკაცს: ჭა
სმა და ტანსაცმელი.
(4—1) სანაპირო ლაშქრის უფროსი პოლკოვნიკი საგინაშვილი.

სასახლის ბაღში
სექტემბრის 25 დან ოქტომბრის 10 დის გაიყიდება სასახლის ყვავილნარისათ
ზედმეტად მიჩნეული ოთახის სხვადასხვა მცენარე და ყვავილები. გაყიდვა მოხ
ბა დილის 9—12 საათ. საღ. 3—6 საათამდე. შესავალი ერმოლოვის ქუჩიდ
(3—2

თფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია
ამით აცხადებს ქართველ მშობელთა საყურადღებოთ, რომ გაეროვნებულ
მოსამზადებელ კლასის ყველა განყოფილებებში
თავისუფალი ადგილია
თხოვნების მიღება გაგრძელება 1 ღვინობისთვემდე.
დირექტორი ილ. ლორთქიფანიძე.

განცხადება
სახურსათო საქმის სამინისტრო ამით აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობა მარილ
შესახებ, რომელიც იყო დანიშნული 5 სექტემბერს არ შესდგა სხვადასხვა ფორმ
ლურ მიზეზებისა გამო. სამინისტრო ხელ-ახლა იუწყება, რომ 25 სექტემბერს,
ღამოს 5 საათზე, სასურსათო სამინისტროს შენობაში მოხდება ხელ-მეორე
საჯარო ვაჭრობა
სამინისტროსათვის 800,000 ფუთი მარილის მიწოდების შესახებ
(მარილი უნდა იყოს კრისტალური, მარცლოვანი)
ის პირნი, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ამ ვაჭრობაში უნდა
მოცხადდნენ ზემო აღნიშნულ დროს სასურსათო საქმის სამინისტროს შენობა
სავალდებულოა შემდეგი:
1) საწინდარი არა ნაკლები 5,000 მან., რომელიც წარმოდგენილი უნ
იქნეს საჯარო ვაჭრობის დროს.
2) სახელი, მამის სახელი და გვარი მსურველისა.
3) დრო, როდის იქნება მოტანილი მარილი, ხარისხი და გვარი მარილის
4) ფასი „ფრანკო ვაგონი" საქართველოს რკინის გზისა.
5) პირობები ფულის გადახდისა.
6) განცხადება უნდა იქნეს შემოტანილი წერილობით დახურულ კონვ
ტებში არა უგვიანეს 25 სექტემბრისა 12 საათზე. კონვერტზე უნდა იყოს დ
რილი: სასურსათო საქმის სამინისტროს მიმწოდებელ განყოფილების უფროსს.
გზათა მიმოსვლის და სასურსათო საქმის მინისტრი ლორთქიფანიძე.
მომწ. განყ. უფროსი ადანაია. (6—4)

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.